ნიანგი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

№ 16 17 1934 წ.



ქართველი კლასიკოსებ

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ორკვირეული მასიური სამხატვრო პოლიტიკური ჟურნალი

დროშა

რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველდღე 12-2 საათამდე. მისამართი: წულუკიძის 4.

№ 16—17

ტფილისი

გამ. „კომუნისტის" გამ-ბა

1934

★★★

შინაარსი

1) ქართული მწერლობა საბჭ. მწერლების საკავშირო ყრილობაზე.
2) თ. ვარაზაშვილი — ვეფხის ტყაოსნის გამოცემები.
3) ნ. მათიაშვილი — მწერალთა ყრილობას (ლექსი).
4) კონსტ. გამსახურდია — ლირიული ინტერმეცო.
5) კ. გაფრინდაშვილი — ფერო (ლექსი).
6) გ. შატბერაშვილი — გამოსალმების სიმღერა (ლექსი).
7) მიხ. ჯავახიშვილი — დელეგატის შთაბეჭდილებანი.
8) ლევან ასათიანი — სალომე.
9) დემნა შენგელაია — მწერალთა ყრილობის შემდეგ.
10) ედ. ბაგრიცკი — კონტრაბანდისტები (ლექსი). თარგმ. ვ. გაფრინდაშვილის.
11) 750 წ. რუსთაველის დაბადებიდან — საქ. კ.პ. (ბ) ცეკას 1934 წ. 20 აგვისტოს დადგენილება.

★★★



მ. ტოროშელიძე, საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარე.

პ.-მგ. რედაქტორი: პ. მაჭავარიანი
სარედაქციო კოლეგია: კონსტ. ლორთქიფანიძე, ბრ. მუშიშვილი,
აკ. ჭუონია, ლევ. ასათიანი, ალ. [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მწერალთა დელეგაციის ჯგუფი სტუმრად ამხ. აბელ ენუქიძესთან

ზედან შუაში (მარცხნიდან): მიხ. ჯავახიშვილი, მ. ტოროშელიძე, მარიჯანი, ამხ. აბელ ენუქიძე, პ. საყვარელიძე.
ზედან პირველ რიგში: პ. ჩხიკვაძე, გ. ლეონიძე, პ. იაშვილი, ს. შანშიაშვილი, დემნა შენგელაია.
ზანან: ი. აბაშიძე, ტ. ტაბიძე, პ. ქიქოძე, ი. გრიშაშვილი, ლეო ქიაჩელი, გ. ქიქოძე, ბ. ულენტი, ს. ეული, ჩ. ბეგიზოვი, ჩანბა.

ქართული მწერლობა საბჭოთა მწერლების საკავშირო ყრილობაზე

საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობა შევა, როგორც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა, რომელიც მსოფლიო რეზონანს ატარებს. სწორედ ამიტომ ამბობდა გორკი ამ ყრილობის შესახებ, რომ მას არა ყავს მსოფლიოში პრეცედენტი.

ასეთი ყრილობის მოწვევა აშკარაა, მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში იყო შესაძლებელი სადაც მწერლობა გაერთიანებულია სოციალიზმისათვის ბრძოლის იდეით. სადაც მწერლობისადმი პარტია იჩენს უდიდეს მზრუნველობას, სადაც მწერლებს ეპყრობიან ისეთი პატივისცემით როგორც არსად მსოფლიოში.

ეს დაამტკიცა ყრილობამ მთელი თავისი მუშაობითა შინაარსითა და მაშტაბით და მას სრულიად სამართლიანად ზოგიერთებმა უწოდეს საბჭოთა ქვეყნის რევოლიუციონური ლიტერატურის თავისებური კონვენტი.

ეს ყრილობა იყო საბჭოთა კულტურის ტრიუმფი, მრავალერიანი საბჭოთა ქვეყნის ლიტერატურის ინტერნაციონალური დემონსტრაცია. ყრილობის ამ დიდ მნიშვნელობას თავიდანვე ხაზი გაუსვა თავის შესავალ სიტყვაში ყრილობის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მ. გორკიმ. მან ძესანიშნავად აღნიშნა: „ამ ყრილობით ვაკეთებთ არა მარტო ჩვენი გეოგრაფიულ გაერთიანების, არამედ ჩვენი მიზნით მთლიანობის დემონსტრაციას; ყრილობის მიზანია დარაზმოს მთელი ჩვენი საბჭოთა კავშირის ლიტერატურა, როგორც ერთიანი კულტურულ - რევოლიუციონური ძალა“.

„ქვეყნის წინაშე წარსდგა ჩვენი მრავალერიანი და ერთიანი, ძმურად შემჭიდროებული ლიტერატურა, სოციალური ოპტიზმიზმის ლიტერატურა, რომელიც გამსჭვალულია პროლეტარიატის დიადი იდეებით, რომელიც სდგას ახალი სამყაროს საქმისათვის ბრძოლის მოწინავე პოზიციაზე“. — სწერდა „პრავდა“ ყრილობის შედეგების შესახებ.

მწერალთა საკავშირო ყრილობა წარმოადგენდა ბოლშევიკური პარტიის ლენინური ნაციონალური პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვების გამოხატულებას. საბჭოთა კავშირის ნაციონალური ლიტერატურები წარმოსდგა ყრილობაზე როგორც სოციალისტური კულტურის ერთიანი რაზმი. ამიტომ დაძაბული ყურადღებით და გაცხოველებული ინტერესით ისმენდა ნაციონალური ლი-

МУЗЕЙ

ტერატურის წარმომადგენელთა მოხსენებებს არა მარტო ყრილობა, არამედ ჰთელი ჩვენი ქვეყანა.

ყრილობაზე, განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია საქართველოს ლიტერატურამ. ყრილობის დარბაზის დიდ კედლებს დიადი მწერლების სურათების გვერდით ამშვენებდა შოთა რუსთაველის პორტრეტი. ქართული მწერლობა ყრილობაზე დადგა ყურადღების ცენტრში. რისთვის? რასაკვირველია იმისათვის, რომ მას მიეცა შესაძლებლობა მისდამი უდიდესი მზრუნველობის პირობებში ეთქვა თავისი სიტყვა, გამოეჩინა თავისი ავლა-დიდება, გადმოეცალაგებია თავისი დიდი კულტურული წარსულის საუკეთესო მიღწევები. ამ მიღწევების საუკეთესო დემონსტრაციას წარმოადგენდა ყრილობაზე საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის **მ. ტოროშელიძის ვრცელი მოხსენება.** ამ მოხსენებამ დიდი ყურადღება მიიპყრო. ყრილობის ტრიბუნიდან მთელი ქვეყნის გასაგონად წარმოითქვა სიტყვა რუსთაველის, ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, ა. წერეთელის და სხვა გამოჩენილი ქართველი მწერლების შესახებ. წარმოითქვა სიტყვა ჩვენი თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურის მათი მესვეური პოეტებისა და ბელეტრისტების შესახებ.

გაზთ „იზვესტია“-მ ამ მოხსენებას მისცა შესანიშნავი შეფასება. **„ყრილობამ რომელიც თავის თავად წარმოადგენს დღევანდლამდე არ ნახულ მოვლენას** — სწერდა გაზეთის მოწინავე — **„დაანახა მთელ ჩვენს ქვეყანას და მთელს მსოფლიოს მრავალი და მრავალი ნაციონალური ლიტერატურის სახე განსაკუთრებით საინტერესო იყო ქართული ლიტერატურის შესახებ ამხ. ტოროშელიძის მოხსენება, რომელმაც მოგვცა ისტორიისა და თანადროულობის სოციოლოგიური ანალიზისა და ესტეტიური ანალიზის საუკეთესო შეხამება, რომელმაც მოგვცა საქართველოს ცხოვრებისა და ამ ცხოვრების ლიტერატურული ასახვისა და გამოხატვის სურათი“.**

აშკარაა ამხ. მ. ტოროშელიძის მოხსენებას, რომელიც შეიცავდა ქართული ლიტერატურის ანალიზს ოძველეს დროიდან დღემდის არ შეიძლო არ გამოიწვია ასეთი ინტერესი. ყრილობაზე ქართული მწერლობა განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობდა. **ამას ამტკიცებს უკრაინის მწერალთა დელეგაციის თავმჯდომარის კულიკის მოხსენების შესავალი, რომელიც მან ქართულ ლიტერატურის მიღწევებს უძღვნა.**

„ნუ გაგიკვირდებათ ამხანაგებო, რომ ჩემს მოხსენებას ვიწყებ ქართულ ლიტერატურით — განაცხადა ამხ. კულიკმა.

მე წავიკითხე ის მასალები, რომლის გამოყენებას ფიქრობს თავის მოხსენებაში ამხ. ტოროშელიძე ქართულ ლიტერატურის შესახებ. ამ მდიდარმა და საინტერესო მასალამ ბევრი რამ ახალი დაუმატა იმას, რაც ჩვენ ვიცოდით თანამედროვე ქართული მწერლების ნაწარმოებთა შესახებ.

მე ვფიქრობ, რომ ამ მასალების ავტორი, ოდნავადაც არ აჭარბებს, როცა შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანს“ უწოდა მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი ნაწარმოები. მე ვფიქრობ მის მიერ ისეთი პოეტის შეფასება, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილია, სწორია.

ქართული კლასიკური მხატვრული ლიტერატურა არაჩვეულებრივად მდიდარია და მისი გავლენა თანამედროვე ქართველ მწერლებზე უეჭველია, კულიკი შეჩერდა ნიკოლოზ ბარათაშვილზე და აღნიშნა ბარათაშვილის გავლენა თანამედროვე პოეზიაზე, იმ დიდ ინტერესზე, რომლსაც იჩენენ თანამდროვე პოეტები კლასიკოსებისადმი.

„მე გადავთარგმნე პოეტ სიმონ ჩიქოვანის ლექსი. „პოეტი და მერანი“, — ამბობს კულიკი, — სადაც ჩიქოვანი ეკამათება ბარათაშვილის პოეტურ კონცეპციას“ კულიკი ეხება აგრეთვე პოეტებს ა. მაშაშვილს და ტ. ტაბიძეს.

ამხ. ს. ჩიქოვანის შესახებ სხვათაშორის ყრილობაზე ილაპარაკა პოეტმა ნიკ. ტიხონოვმა. იგი შეჩერდა ახალი ადამიანის თემატიკაზე, რომელსაც ეხება თავის შემოქმედებაში სიმონ ჩიქოვანი, და რომელიც უნდა იყოს ახალ პოეზიის მთავარ თემატიკათ.

ს. ჩიქოვანის შესახებ ილაპარაკეს აგრეთვე **ჩუკოვსკიმ** და ბეზიმენსკიმ. უკანასკნელმა უსაყვედურა ბუხარინს, რომ მან თავის მოხსენებაში არ აღნიშნა ისეთი საინტერესო პოეტები, როგორიც არის უკრაინელი **ბაცნი,** ბელორუსიელი **ალექსანდროვიჩი** და ქართველი **ჩიქოვანი.** ჩიქოვანის შემოქმედებაზე ილაპარაკა აგრეთვე აზერბეიჯანელმა რაფილიმ.

კულიკის გარდა ქართულ მწერლებს შეეხო თავის მოხსენებაში ნ. ბუხარინი. მან ქართველი პოეტები მოიხსენია, როგორც **„შესანიშნავი პოეტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბუხარინის განცხადება საბოლოო სიტყვაში: „მე უკიდურესად მოხარული ვარ, რომ ჩემს დასკვნებს გამოუცხადა სოლიდარობა სწორედ იმ დელეგაციამ, რომელმაც ყრილობაზე გააკეთა ყველაზე საინტერესო და შინაარსიანი მოხსენება.** ბუხარინი აქ გულისხმობდა ქართულ დელეგაციას და მას განსაკუთრებული სიმპატიით იხსენიებდა. არ ავიწყებდენ ქართველ მწერლებს ... ბავშვიანთ წერილებში და გამოსვლებში — ... მწერლებიც. ამ მხრივ მეტად საყურადღებო იყო ჩვენი დროის ერთი უნიჭიერეს მწერალ ქალის მარიეტა შაგინიანის სიტყვა **კონსტანტინე ლორთქიფანიძის** რომანის „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“-ს შესახებ.

„მე ამას წინათ წავიკითხე ახალგაზრდა ქართველი მწერლის ლორთქიფანიძის ძალიან საინტერესო რომანი „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“ ეს რომანი დაწერილია უალრესად ნიჭიერად, მაგრად აგებული სიუჟეტით, რომანში მოთხრობილია მოჯამაგირე მექის ისტორია, მისი გარდაქმნის ისტორია კომკავშირელად და ტრაქტორისტად. გმირის მთელი კოლიზია იშლება და ბოლოვდება მთელი წიგნის მანძილზე. კომკავშირელის ისტორია აკეთებს სრულ წრეს და როცა დაამთავრებ რომანის უკანასკნელ ფურცელს, თქვენ გგონიათ, რომ წიგნი დამთავრებულია, მაგრამ რა განცვიფრებაში მოდიხართ, როცა დამამთავრებელი წერტილის შემდეგ თქვენ ხედავთ საკრამენტალურ ფორმულას „პირველი წიგნის დასასრული“. ამ სტრიქონებს არავითარი გამართლება არ აქვს ტექსტში. მაგრამ სწორედ ამიტომ რომ ზედმეტია, იგი ჩვენთვის ნათელფენს იმ გარემოებას, თუ რატომ იძლევიან ჩვენი რომანისტები დაუსრულებლად სერიულ რომანებს.

თუმცა კოლიზია და სიუჟეტი დასრულებულია პირველ წიგნში, მაგრამ რომანისტი გვპირდება მეორე წიგნს ავანსათ, რას ნიშნავს, ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ მას არ აქვს შინაგანი მოთხოვნილება დაუბრუნდეს პირველ წიგნს და გააგრძელოს იგი. მაგრამ მას ეცოდება უბრალოდ დასცილდეს თავის გმირებს“.

მ. შაგინიანმა კ. ლორთქიფანიძის წიგნის მაგალითზე დააყენა მეტად საინტერესო საკითხი. რითაც ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვა კ. ლორთქიფანიძის ამ რომანის მხატვრულ ღირსებას მის მხატვრულ ხარისხს, სიუჟეტურ სიმაგრეს.

განსაკუთრებული სიმპატიით მოხსენებული იქნა რამდენიმეჯერ სხვადასხვა წერილებში მეორე ქართველი მწერლის **მიხეილ ჯავახიშვილის** სახელი, აღსანიშნავია ამ მხრივ მაგალითად რუსულ სალიტერატურო გაზეთში ბოჩაროვის წერილი, ავტორი შეეხო მ. ჯავახიშვილის წარსულ შემოქმედების გზებს, აღნიშნა მისი დღევანდელი მუშაობის მიღწევებიც. ხაზი გაუსვა **„არსენა მარაბდელს“** როგორც შესანიშნავ მხატვრულ ნაწარმოებს,

ყრილობის მზადების პროცესში, როგორც ცნობილია რუსულ სალიტერატურო გაზეთში და გაზ. „იზვესტიაში“ დაიბეჭდა ქართველი პოეტების ლექსები. (ვ. გაფრინდაშვილის, ტ. ტაბიძის, პ. იაშვილის, ს. ჩიქოვანის და სხვების) მაგრამ განა მარტო ამით ამოიწურება ქართველი მწერლების მონაწილეობა ამ ისტორიულ ყრილობაზე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ლიტერატურის ისტორიისთვის მის მომავალ განვითარებისათვის. ყრილობაზე თავიანთ სიტყვებით გამოვიდნენ ქართველი მწერლების დელეგატები, **ჯავახიშვილი, ტ. ბაიძე, ნ. მიწი_ მ. ჯავახიშვილი, ტ. ტაბიძე, ნ. მიწიშვილი, შ. დადიანი, პ. იაშვილი, ს. ეული.** ზოგიერთი მათგანის სიტყვა პრესის მიერ შეფასებული იქნა, როგორც კარგი გამოსვლა.

რა სთქვეს ყრილობაზე ამ ქართველმა მწერლებმა. რასაკვირველია ის რაც აღინიშნა ყველას ამ დიდი ყრილობის მონაწილეებს. ეს მრავალი საკითხები სხვადასხვანაირად გამოხატეს გამოსულმა ამხანაგებმა. **პ. იაშვილმა ხაზი** გაუსვა ამ საერთო სიხარულს, რომელსაც განიცდიდა მთელი საბჭოთა მწერლობა ყრილობაზე.

მ. ჯავახიშვილმა თავის გამოსვლაში ყრილობაზე აღნიშნა ახალი ადამიანის და ახალი ქვეყნის ასახვის, ახალი სტილის შექმნის აუცილებლობა. **ნ. მიწიშვილმა ყრილობაზე** ილაპარაკა ნაციონალური შეზღუდულობის ჩარჩოების გარღვევის შესახებ. ქართული მწერლობის შესახებ მან სთქვა: „თავისი მდიდარი და გმირული არსებობის 15 საუკუნის განმავლობაში ქართული ლიტერატურა უძლებდა ბერძნული, არაბული, სპარსული ბიზანტიური კულტურების შემოტევას. იგი კი არ დაიღუპა, არამედ გამდიდრდა რა თითეული ამ კულტურის ხარჯზე შეინარჩუნა მან თავისი ნაციონალური სახე, თავისი თვითმყოფობა და რუსთაველის სახით დასტოვა ქართველი ხალხის კულტურული ძლიერების საბუთი, სრული უფლებით ქართულ ლიტერატურას ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკუთვნის საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურებს შორის“.

ყრილობაზე საგულისხმო სიტყვა წარმოსთქვა მწერალ **შ. დადიანმა**. მან განაცხადა „მე იმ ქვეყნიდან ვარ სადაც, არა მარტო ბროწეული ხარობს მინდორ-ველად, სურნელებს ლიმონი და მანდარინი და ქარვის ფერად მწიფდება მჟავანი ყურძენი. არამედ სადაც შორეულ წარსულშიაც და დღესაც საუკეთესო მოწინავე აზრი კაცობრიობისა მუდამ ჰპოებდა და ჰპოებს ნოყიერ ნიადაგს და სადაც იბადებიან მაღალ ნიჭიერი, გონება მახვილი, რკინისა და ფოლადის ნებისყოფის ადამიანები, რომელთ სახელი დაუვიწყარი ხდება საუკუნეებში“.

საინტერესო იყო ყრილობაზე პოეტ **ტიციან ტაბიძის** სიტყვა. მან უმთავრესად ილაპარაკა პოეზიის საკითხებზე, განსაკუთრებით ქართული პოეტების რუსთაველის, გურამიშვილის, ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას შესახებ. თავისი სიტყვა დაასრულა ს.კ.პ. (ბ) ცეკას დადგენილების აღნიშვნით შ. რუსთაველის იუბილის შესახებ. „ამ რიგად აღნიშნა მან 1937 წელს მთელი საბჭოთა კავშირი იდღესასწაულებს რუსთაველის შვიდასი წლის და პუშკინის სიკვდილის დღიდან 100 წლის თავსა, როგორც ხალხთა გენიების ძმობასა.

რა მისცა მწერალთა საკავშირო ყრილობამ ქართველ მწერლებს? ბევრი, ძლიერ ბევრი რამ. აღფრთოვანება, შემოქმედებითი ენტუზიაზმი, მაღალი ღირსების მხატვრული ნაწარმოებისათვის ბრძოლის სურვილი.

მწერლები ერთხმად აღიარებენ იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც ყრილობამ მათ დააკისრა. „მწერალთა საკავშირო ყრილობამ ძალიან მაღლა ასწია მწერლების ავტორიტეტი“ აცხადებს პ. იაშვილი „ყრილობამ ისე გაიხმაურა, როგორც ქართველი მწერლების ტრიუმფმა“ ამბობს ლ. ქიაჩელი.

„ჩემზე და ყველაზე განუსაზღვრელი შთაბეჭდილება იმან მოახდინა, რომ ერთ დარბაზში 58 ეროვნებამ მოიყარა თავი, და ეს 58 ენა ბოლოს და ბოლოს ერთ ენაზე მეტყველებდა. ამგვარი გამოფენა ჯერ არსად არ ყოფილა. ამ გამოფენის შესწავლამ და ერთმანეთის გაცნობამ ყველა მწერალს მრავალი რამ შესძინა და მისი გონებრივის არე გააფართოვა“, სწერს მ. ჯავახიშვილი.

„ასე ფართოთ, ასე საჯაროთ, ასე მთელი დედამიწის ზურგის გასაგონათ ქართული ლიტერატურა ჯერ არ გახმაურებულა“ აცხადებს შ. დადიანი. „თვითეულ დელეგატს და ყოველ მწერალს,— სწერს **ს. შანშიაშვილი**,— ღრმად ჩააფიქრებს პირველი საკავშირო ყრილობა, გადახედავს თავის „განვლილ შარას“ შეაფასებს მას და განიმსჭვალება ახალი ამოცანებით, აღნიშნავს ჩვენს ახალ ერას თავის გრანდიოზულობით“. (გაზ. „კომუნისტი“).

ყველა ამ სიტყვებისა და ამ შთაბეჭდილებების შემდეგ აშკარაა თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მწერალთა ყრილობას.

საკავშირო მწერალთა ყრილობამ კიდევ მეტად განამტკიცა მწერლების რიგებში სოციალიზმისათვის ბრძოლის იდეა და აუცილებლობა. გამსჭვალა ისინი ინტერნაციონალური ერთიანობის გრძნობით. ბოლშევიკური პარტიისადმი უდიდესი რწმენით და სიყვარულით.

მწერალთა ყრილობას

შეიკრიბენით ინჟინერები
ადამიანთა სულის გეგმების,
დააწყვეთ სიტყვა ვით აგურები —
მშენებლობის და ლამაზ დღეების.

***

დიდი სამშობლოს ღირსეულ შვილებს
მთელი ქვეყანა ამაყად გიცქერთ:
ყველა ქარხანას და ყველა ველებს
სიტყვის მარაგი თქვენ უნდა მისცეთ.

შეიკრიბენით სიტყვის ოსტატნი
დიდი სამშობლოს მრავალ ენების
რომ დაგვენახათ ჩვენი მიღწევა —
მიღწევა დიდი — ყველა ერების.

***

შეიკრიბენით და იყო თქვენთან
მილიონ ხალხის გრძნობა, სურვილი,
იზოტოვიდან თვითონ შმიდტამდე
თქვენ ნახეთ დიდი სიტყვის წყურვილი.

ნიკოლოზ მათიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



მ. გორკი აკეთებს მოხსენებას მწერალთა საკავშირო ყრილობაზე.

ვეფხის ტყაოსნის გამოცემები

თ. ჰარაზაშვილი

პირველი სტამბა საქართველოში მოეწყო ვახტანგ VI თაოსნობით 1708-9 წლებში. ვახტანგ VI-ს თავიდანვე ჰქონია განზრახული „ვეფხის ტყაოსნის“ დაბეჭდვა და ეს კიდეც შეუსრულებია 1712 წელს. ეს არის პირველი ნაბეჭდი „ვეფხის ტყაოსანი“ ვახტანგისავე კომენტარიებით („თარგმანებით“).

„ვეფხის ტყაოსნის“ დაბეჭდვას გამოუწვევია სასტიკი პროტესტი სასულიერო წოდებისა და ყველა რეაქციონური ძალების მხრივ. ამ მდგომარეობას მეფის მფარველობაც ვერას შველოდა. მაგ., ანტონ კათალიკოსმა „მრავალნი დაბეჭდულნი მეფის ვახტანგის დროისა ვეფხის ტყაოსანნი დასწუნა და შთააყრევინა მტკვარში და აღუკრძალა კითხვა წიგნისა ამისა ქართველთა“. ვეფხის ტყაოსნის დაბეჭდვამ ქართული საზოგადოება გაყო ორად. ერთმანეთს შეეჯახენ საერო (მეფე და მისი მომხრენი) და სასულიერო წოდებანი. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ასკეტურ შეხედულებათა მქადაგებელმა კათალიკოსმა დომენტი III-მ, ვახტანგ მეექვსის ძმამ. რეაქციონური წრეები ამ პოემას თვლიდენ „თესლად უსჯულოებისა“, ხოლო თვით შოთას ეშმაკის მოციქულობას აბრალებდენ. ვახტანგ VI თავის „თარგმანებში“ იძულებულია გაამართლოს შოთა და იგი ცდილობს დაამტკიცოს, რომ რუსთაველის ყოველ სიტყვას აქვს საღვთო ხასიათი.

ტფილისში სტამბის მოსაწყობად ვახტანგს მოუწვევია გამოცდილი ვალაქიელი მესტამბე ვინმე **მიქაელ უნგროვლახელი**, რომელსაც ადგილობრივ აყვანილი მოწაფეების დახმარებით მართლაც გაუმართავს სტამბა. მიქაელს შეუსწავლია ქართული და დიდი თაყვანისმცემელი ყოფილა შოთას პოემისა.

ვეფხის ტყაოსნის პოპულარობა განუზომელი იყო ყოველ დროს და ვერავითარმა ძალამ ვერ შესძლო მისი ამოგლეჯა ხალხის გულიდან. ეს ვერც ანტონ კათალიკოსმა მოახერხა, თუმცა მან სასტიკი აუტო-დაფე გაუმართა ამ პოემას, რის გამოც ვახტანგის გამოცემა დღეს უნიკუმს წარმოადგენს (არსებობს მხოლოდ რამდენიმე ეკზემპლარი, რომლებიც ინახება მუზეუმებში).

მუშაობა ვეფხის ტყაოსნის შესწავლასა და გაგებისათვის იწყება მეთვრამეტე საუკუნიდან და გრძელდება დღესაც. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ჯერ-ჯერობით კარდინალური საკითხებიც კი არაა გადაწყ-

ვეტილი. მეცნიერული აზრი აქ ტრიალებს უმთავრესად შემდეგი პრობლემების გარშემო: I. ვეფხის ტყაოსნის ავტორი, ა) მისი სახელი და გვარი, ბ) სადაურობა, გ) მისი სარწმუნოებრივ - ფილოსოფიური სოფლმხედველობა და დ) ცხოვრების დრო. II. სიუჟეტი თხზულებისა: ორიგინალურია ის, თუ ნასესხები?

ამ საკითხების გადაწყვეტის დროს მკვლევარნი უმთავრესად ემყარებიან პოემის პროლოგსა და ეპილოგს. მაგრამ სწორედ ეს პროლოგი და ეპილოგი იწვევს აზრთა მთავარ სხვადასხვაობას რუსთველოლოგიაში. საქმე იმაშია, რომ ეს ნაწილები ხელნაწერი ვეფხის ტყაოსნის ნუსხებში ერთნაირად არაა წარმოდგენილი, ვერც მკვლევართა შორის ვხვდებით ამ საკითხში თანხმობას. ვერ შეხვდებით ორს ისეთს მკვლევარს, რომელიც ერთნაირად ფიქრობდეს იმაზე შესახებ, თუ პროლოგისა და ეპილოგის რომელი ტაეპი ეკუთვნის თვით პოემის ავტორს და რომელი არა. ერთი მკვლევარი ორიგინალურ ტაეპად თვლის ერთს, მეორე მკვლევარი — მეორეს, იმის მიხედვით, თუ რომელი ტაეპი უდგება მის წინასწარ აღებულ აზრს. ამ სუბიექტივიზის არგუმენტაციაში გვერდი ვერ აუხვია აკად. **ნიკო მარმაც**, ხოლო **დ. კარიჭაშვილი** სულ უარყოფს პროლოგსა და ეპილოგს, როგორც პოემის შინაარსთან შეუფერებელთ. შოთას დასახელებას პროლოგ-ეპილოგში იგი თვლის შემდეგი დროის რომელიმე მელექსეს საქმედ, რომელიც, მისი აზრით, უკვე ისტორიულად განმტკიცებულ ტრადიციას ემყარებოდა. ამავე აზრის არის **პრ. კეკელიძეც**. ესენი განსაკუთრებით ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ პროლოგ-ეპილოგში არ არსებობს ლოგიკური კავშირი ტაეპებს შორის და რომ აქ სხვადასხვა საგნებზეა საუბარი: მელექსეობაზე, მიჯნურობაზე და პოემის ავტორისა და სიუჟეტის შესახებ. მკვლევართა ეს ნაწილი განსაკუთრებით ემყარება იმ გარემოებას, რომ რუსთაველის შესახებ უტყუარი ცნობები არ მოგვეპოება. მართლაც, რუსთაველს ვეფხის ტყაოსნის ავტორად პირველად ასახელებენ მხოლოდ მე-15 საუკუნეში (**სერაპიონ სოგრატის-ძე**, რომელმაც გალექსა როსტომიანის პირველი ძირეული ნაწილი), შემდეგ XV-XVI საუკუნის **„იოსებ ზილიხანიანში“** (მთარგმ. უცნობია), დავით მეფის (+ 1602) მიერ თარგმნილი **ქილილა და დამანაში, თეიმურაზ I-ლის „იოსებ ზილიმხანიანში“**. მე-18 საუკუნეში ეს აზრი განმტკიცდა. ხოლო სახელი შოთა სულ პირველად გვხვდება მხოლოდ მე-17 საუკუნეში (თეიმურაზ I, მამუკა მდივანი, ნოდარ ფარსადანის-ძე, არჩილ მეფე).

ის გარემოება, რომ რუსთაველი არ იხსენიება მეთოთხმეტე საუკუნემდე როგორც ავტორი ვეფხის ტყაოსნისა (უნდა აღინიშნოს, რომ ქართული პოეზიის ძეგლები მე-13 საუკუნის მეორე ნახევრიდან, მონღოლთა შემოსევიდან, ვიდრე მეთოთხმეტე საუკუნემდე, როდესაც იწყება ქართული პოეზიის განახლება, — არ მოგვეპოება), აგრეთვე ისიც, რომ მე-17 საუკუნემდე არ იხსენიება არც სახელი შოთა, ქმნის რუსთველოლოგიაში დიდ ბუნდოვანებას და არევ დარევას. მკვლევართა ნაწილი (პროლოგზე, ეპილოგზე და განმტკიცებულ ტრადიციაზე დამყარებით) სცნობენ შოთა რუსთაველს (მარი, ინგოროყვა, ჭიჭინაძე, ჯანაშვილი და სხვ.), ხოლო რიგი მკვლევართა უარყოფს პროლოგისა და ეპილოგის ორიგინალობას. მათ არც ნაგვიანევი ისტორიული ცნობები პოემის ავტორის ვინაობის შესახებ (მე-15 საუკ.) მიაჩნიათ სანდოდ და საკმარისად და ამიტომ უარყოფენ შოთა რუსთველის ავტორობას, როგორც არასაკმაოდ დასაბუთებულს. ზოგიერთნი ხმარობენ მას პირობითად (პრ. კეკელიძე), სხვანი სულ უარჰყოფენ და საქართველოს ისტორიის გარკვეულ მანძილზე ეძებენ სხვა პირებს და აცხადებენ ვეფხის ტყაოსნის ავტორად (მაგ. **ს. კაკაბაძის** აზრით სარგის თმოგველს, შვილიშვილს 1236—67 წლების ცნობილი მოღვაწის სარგის თმოგველისა, გაულექსია პროზაული ამბავი ვეფხის ტყაოსნისა, რომელიც ჩვენში. შემუშავებულა 1250—60 წლებში, ხოლო ის, რასაც დღეს „გაგრძელებას“ და „დამატებას“ ვეძახით, ხელში ჩავარდნია ვინმე მესხს შოთა რუსთველს და გაულექსია (1320—25 წლებში). ასევე რამდენიმე პირის ნახელავად მიაჩნია ეს პოემა ზოგიერთ სხვა მკვლევარსაც (მაგ. **ი. აბულაძეს**).

ამგვარად, მკვლევართათვის დღესაც საცილობელია არა მარტო ის, რომ პოემის ავტორი იყო შოთა რუსთველი, არამედ ისიც, არის თუ არა პოემა ერთის ან რამდენიმე პირის ნაწარმოები. ამის შესახებ უნდა ვთქვათ შემდეგი: ეს გენიალური პოემა სტილისტურად იმდენად მთლიან, სიუჟეტურად გამართულ და პოეტურად ერთიან ნაწარმოებს წარმოადგენს, რომ მისი რამდენიმე პირის ნახელავ გამოცხადება ყოვლად უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს. დღეს მკვლევართა უმრავლესობაც ამ აზრის არის. მართალია, ტექსტს დროთამსვლელობაში დიდი დამახინჯება და ბევრი ინტერპოლაცია განუცდია, მართალია ის ჯერ კრიტიკულად საკმაოდ ვერ არის აღდგენილი (ამ მხრივ დიდ ნაბიჯს წარმოადგენს წინ უკანასკნელი გამოცემა კ. ჭიჭინაძის რედაქციით), მაგრამ ძირითადი ტექსტი, ამბავი ვეფხის ტყაოსნისა იმდენად გამართულია, რომ ეს დამახინჯებები დიდი არ უნდა იყოს. რაც შეეხება „გაგრძელება“ - „დამატებებს“ ისინი იმდენად ჩამოუვარდებიან პოემას თავისი პოეტური ხარისხით, რომ მათი პოემიდან გამოყოფა მკვლევართათვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. გამონაკლის შეადგენს პროლოგ-ეპილოგი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, არის წყარო ესოდენი გაუგებრობისა რუსთველოლოგიაში.

ერთი ცხადია, სახელდობრ ის, რომ ქართულ ისტორიულ ლიტერატურას არ შემოუნახავს არც ერთი სხვა პირის სახელი ვეფხის ტყაოსნის ავტორობასთან დაკავშირებით: არც ერთხელ ძველ ისტორიოგრაფიაში არ დაბადებულა ეჭვი შოთას ავტორობის შესახებ. ამას გარდა, მე-15 საუკუნის მოღვაწის სერაპიონის ცნობა [illegible] თია და უყურადღებო, რაც განმტკიცებულ აზრს და ძველ ტრადიციას უნდა გულისხმობდეს. და თუნდაც პოემის ავტორის სახელი მართლაც შოთა რუსთაველი არ იყოს, ჩვენ მაინც არავითარი მტკიცე ისტორიული საბუთი არ მოგვეპოება იმისათვის, რომ უარვყოთ იგი, მით უმეტეს, რომ სახელის შეცვლა ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეცვლის პოემის ავტორის პოეტურ წონას. საქმე იმაშია, რომ სხვადასხვა მკვლევართ ავტორის სახელის შეცვლა უმთავრესად ესაჭიროებოდათ მათი წინასწარ აღებული აზრის დასამტკიცებლად პოემის დათარიღების საკითხში. მაგრამ ამაზე ქვემოთ.

მეცნიერებაში დიდი კამათი იყო აგრეთვე ავტორის რელიგიურობის გარშემო. ზოგიერთს (მაგ. ნ. მარს) რუსთველი მაჰმადიანად მიაჩნდა იმაზე დამყარებით, რომ ავტორი ზედმიწევნით იცნობს მაჰმადიანურ სამყაროს და ზნე-ჩვეულებებს. მაგრამ, როგორც მკვლევართა უმეტესობამ დაამტკიცა ტექსტის ანალიზის გზით, ავტორი წრმენით არის ქრისტიანი, ზედმიწევნით იცის ქრისტეს მოძღვრება, ხოლო როგორც განათლებული და მაჰმადიანობასთან დაახლოებული პირი, იგი კარგად იცნობს მაჰმადიანურ სამყაროსაც. გარდა ამისა, იგი კარგი მცოდნეა აგრეთვე ბერძნული ფილოსოფიისა, კერძოდ პლატონის ფილოსოფიისა (მაგ. აკ. მარი ამტკიცებს, რომ შოთა ნეოპლატონიკოსი იყო). გავიხსენოთ თუნდაც ყოვლად წარმოუდგენელი ფაქტი მუსულმანური სამყაროსათვის — თინათინის, ქალის გამეფება.

მთავარი საკითხი რუსთველოლოგიაში არის პოემის დათარიღების საკითხი.

ამ საკითხშიც უკანასკნელ დრომდის დიდი აზრთა სხვადასხვაობა იყო. მაგ., როგორც ზევით აღვნიშნეთ, **ს. კაკაბაძე** პოემის ავტორად ორ პირს ასახელებს და მისი შექმნის ეპოქად აცხადებს მე-13 ს. დამლევს და მე-14 ს. დასაწყისს. აგრეთვე **აკ. მარს და ი. აბულაძეს** პოემის შექმნის ეპოქა გადააქვთ მე-14 საუკუნეში. ვეფხის ტყაოსნის უკანასკნელი გამოცემის რედაქტორი **კ. ჭიჭინაძე** სამართლიანად აღნიშნავს: „არ.



ვეფხის ტყაოსნის ხელნაწერი მე-17 ს.

ცებობას მხოლოდ ორი მოკლე, მაგრამ უტყუარი ცნობა რუსთველის შესახებ, რომელსაც იძლევა ზეპირი გადმოცემა და თვითონ ავტორი თავის პოემაში: ეს არის მისი ტომობრივი წარმოშობა (მესხი) და მოღვაწეობის დრო (თამარის ეპოქა). მკვლევარი, რომელიც მოინდომებს ამ ორი ცნობის უარყოფას, ქვიშაზე ააგებს თავის ნაშრომს". მართლაც, მკვლევართა უცეტესობის აზრით არავითარი მტკიცე საბუთი არ არსებობს იმისათვის, რომ რუსთველის მოღვაწეობა დავაშოროთ თამარის ეპოქას (პრ. კეკელიძე, ინგოროყვა, ჭიჭინაძე და სხვ.). მართლაც, თუ თავს მოვუყრით მკვლევართა უმეტესობის საბუთებს ამის საწინააღმდეგოდ, მივიღებთ შემდეგ სურათს: თამარ მეფის ისტორიის პირველ ნაწილში, რომელიც დაიწერა 1196 წელს, ვეფხის ტყაოსანი სრულიად არ იხსენიება, თუმც ამ თხზულების ავტორი კარგად იცნობს ვისრამიანს ამირანდარეჯანიანს, თამარიანს (პრ. კეკელიძე, ინგოროყვა). მაშასადამე, შეუძლებელია 1196 წლამდის არსებულიყო ისეთი დიდებული პოემა, როგორიც არის ვეფხის ტყაოსანი და ამის შესახებ არაფერი სცოდნოდა თამარის ისტორიკოსს. ამას გარდა, რუსთაველი ასახელებს ინდოეთის სულთანათს, ხვარაზმის სამეფოს, ხატაეთს და იცნობს მათ, როგორც ცოცხალ და ძლიერ სახელმწიფოებს.

ინდოსტანის სულთანათი დაარსდა 1206 წელს. ხოლო ხვარამზის დიდი სამეფო და ხატაეთი ჩინგის ხანმა (მონღოლებმა) გაანადგურა 1219 წელს. რუსთველის პოემაში კი სრულიად არაფერი ისმის მონღოლებისა და მათი გამანადგურებელი მოძრაობის შესახებ. მაშასადამე, მკვლევართა უმეტესობა იმ აზრს ეთანხმება, რაც საკმაოდ დასაბუთებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ვეფხის ტყაოსანი დაწერილია 1206-სა (ყოველ შემთხვევაში არა უადრეს 1196 წლისა) და 12—19 წლებს შორის. სხვა არა იყოს რა, წარმოუდგენელია, რომ იმ უკიდურესი დაცემის ხანაში, როგორც იყო საქართველოში მონღოლთა გამანადგურებელი ხუთგზის შემოსევის შემდგომი პერიოდი მე-15 საუკუნემდის, შექმნილიყო ისეთი დიადი ნაწარმოები, როგორიც არის ვეფხისტყაოსანი. და ან რა საფიქრებელია, რომ პოემის ავტორს არაფერი სცოდნოდა ამ საშინელ ისტორიული კატასტროფის შესახებ!

ამგვარად, შოთას დაბადებიდან 50 წლის თავის ანგარიში შესამჩნევად არ უნდა იყოს დაშორებული სინამდვილისაგან.

პოემის სიუჟეტის ორგინალობის საკითხს, რუსთველოლოგიაში დიდი ადგილი უჭირავს. რიგი მკვლევართა იმ აზრის არის, რომ პოემის სიუჟეტი არ არის ორგინალური, არამედ აღმოსავლეთიდან მომდინარეობს (მარი, ი. აბულაძე, ხახანაშვილი). ესენი უმთავრესად ემყარებიან ერთი მხრივ იმას, რომ სიუჟეტი აღმოსავლეთის სამეფოებს შეეხება და მეორე მხრივ თვით შოთას სიტყვებს (საცილობელს): „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები— ვპოვე, და ლექსათ გარდავქმენ". მაგრამ მკვლევართა უმეტესობა დღეს ამ აზრს არ ემხრობა და სიუჟეტს მიიჩნევს ორგინალურად (სხვადასხვა ვარიაციით), მით უმეტეს, რომ არც აღმოსავლურ ლიტერატურაში და არც აღმ. ზეპირსიტყვაობაში ჯერ-ჯერობით ვეფხის ტყაოსნის მსგავსი ამბავი ცნობილი არ არის.

არის კიდევ ერთი საკითხი ავტორის სადაურობის შესახებ. მაგრამ ჩვენის აზრით ამ საკითხის გასარკვევად არ არსებობს არავითარი უტყუარი ცნობები (გარდა თვით ავტორის (?) თქმისა: მესხი ვარო) და ამ საკითხის გადაჭრის ყოველგვარი ცდა ჯერ-ჯერობით ნაძალადევად უნდა ჩაითვალოს. ზოგი რუსთველს მესხად მიიჩნევს (მარი), ზოგი ძველი ჰერეთის—კახეთის განაპირა მდებარე ქალაქ რუსთავის შვილად აცხადებს (ინგოროყვა). მაინც ჯერჯერობით ეს საკითხი გაურკვეველია.

რაც შეეხება პოემის ტექსტის რედაქციებს, პოემის შემდეგი დროის ყველა გამოცემებს (გარდა კაკაბაძის პირველი გამოცემისა) საფუძვლად დაედო ვახტანგისეული გამოცემის ტექსტი. (ის. სურათი). ვეფხის ტყაოსნის უკანასკნელი გამოცემის რედაქტორის კ. ჭიჭინაძის აზრით ვახტანგისეული ვეფხის ტყაოსანის რედაქტორებს ტექსტის დადგენის დროს სხვა პირების აშკარა დამატება - გაგრძელებებთან ერთად უმართებულოდ მოუკვეციათ. ინდო-ხატაელთა ამბავი, რომელიც ა. ჭიჭინაძის აზრით წარმოადგენს პოემის ნამდვილ, ორგანიულ დაბოლოებას, როგორც სტილის, ისე შინაარსისა და პოეტური ფორმის მხრივ. ჭიჭინაძემ შეიტანა ინდო-ხატაელთა ამბავი ძირითად ტექსტში ვეფხის ტყაოსნის მე-29 გამოცემაში და ალბათ რუსთველოლოგიის სპეციალისტები თავის აზრს იტყვიან ამ ნაბიჯის მართებულობის შესახებ.

სპარსელი სტუმრები ფირდოუსისთვის მიძღვნილ გამოფენაზე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში: მარჯვნით დგას ბ. საიდ ნეფისი, შუაში სპარსეთის კონსული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პ. ბამსახურდია

ლიროული ინტერმეცო

ხომ არ მოგწყენია ჩემო მკითხველო?

მე თავად, მოწყენამ ამაღებინა კალამი და ვინძლო ჩემმა მოწყენამ შენი გააქარვოს.

ათასზე მეტი ღამეა ვზივარ, ვზივარ და გითხრობ განთიადიდან განთიადამდის.

თამაშითა და ბრძოლით ვწერ, ჩემი გმირების თამაშისა და ბრძოლის ამბავს.

და ღამეები მიჰქრიან როგორც ნაბდით დაჭედილი ბედაურები.

სავსებით მარტო ვარ ამ წუთშიაც მთვარე სამთვარიოში ჩასულა უკვე და მესმის თუ როგორ ღუღუნებს ჩემი ბინის ელექტრომრიცხველი—ეს ინდუსტრიის ცისფერი მტრედი.

მესმის თუ როგორ სუნთქავენ, ლაპარაკობენ და მოძრაობენ ჩემივე გმირები ჩემში და განვიცდი უმძიმეს ორსულობას შემოქმედებისას.

ვლელავ და ვძრწი მათ მაგივრად, მათ მაგივრად ვფიქრობ და ვდარდობ და ღამეები მიჰქრიან, როგორც ნაბდით დაჭედილი ბედაურები.

ჯერ მეც არ ვიცი მათ რა მოუვათ. თამარ შერვაშიძე რომელს შეი ყვარებს არზაყან ზვამბაიას, თუ თარაშ ემხვარს?

ან არზაყანის გული ვის მიენდობა სათნო ძაბულის თუ თამარ შერვაშიძეს? ტარიელ შერვაშიძე და კაც ზვამბაია როგორ შეეთვისებიან ახალ დროს? ან ის ბედდამწვარი ლუკაია ლაბახუა როგორ დაასრულებს ცხოვრების ეტლს?

ან გვანჯ აფაქიძი რას მოიმოქმედებს გვანჯ აფაქიძე—„ქრისტეს ფეხის მკვნეტელი“?

ვზივარ და ამ სტრიქონებს ვწერ და ღამეები მიჰქრიან, როგორც ნაბდით დაჭედილი ბედაურები.

მკლავი მომექანცა, მეტკინა წელი, ვზივარ და მაინც ვწერ, რადგან ჩემი სული ჩემ სხეულზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

შევდგები.

ჩემს ხელნაწერს ვათვალიერებ.

გაოცებული შევსცქერი ბნელი საუკუნოების საშიში უთარიღოდ წარმოშვებულ ფანტასტიურ ჰიეროგლიფებს.

შევსცქერი ქართულ ასოებს და ასე მგონია: მე მათ შორის უნდა ამოვიკითხო მეთქი ჩემი გმირების, უცხაური ბედი.

ანი, ნამგლისთვის მიუსგავსებია მიწის მოყვარულ ქართველ ხალხს (ამიტომაც შეურქმევიათ „გეორგოს“ ძველ ბერძნებს ჩვენთვის).

ბანი, ყელმოღერებულ ქართულ სურებს, დოქებს და ჭინჭილებს არა ჰგავს?

განი, ლაგვინებს და ჭურებს. (ღვინის მოყვარული ხალხის მონაგონია უთუოდ).

ღ, ყ, ლ, დ, წათებს, წერაქვებს და ჩაქოჩებს—ეს მელითონეთა და რკალის ხუროთა მიერ მონაგონია.

ენის,
სანის,
ხარის,
ნარის,
ვინის,
ფარის,
წილის,

ჭარის კლერტოები ლეკურებს, ხმლებს, სატევრებს, წათებს და ხელშუშებს მაგონებს.

აჰა მოდიან ღეროვანი ასოების ლეგიონები. ისინი ხან ლეღივით იკეცებიან, ხანაც ცხენოსანი ჯარის პიკეტებსავით მოემართებიან ამპარტავნად ზეაღმართულნი.

და ამ ჲ, ჭ, ჯ-ს, პაწია მარყუჟები ვაზისადმი სიყვარულის ანარეკლი (ამ ლონისურ ქვეყანაში წარმოშობილი).

კლერტო რაესი მონადირე ტომის ტროფიალს გამოხატავს ირმებისა და ჯიხვების რქებისადმი ტროფიალს.

ეს თავმოდრეკილი დონები, ღანები, ლასები ჩვენს გუთნებს აჩაჩებს და კავებს მაგონებს.

ხოლო ინი, ინი პირწავარდნილი ნალია ცხენისა. ვინ იცის ეგებ, ცხენოსან ერს თან მოეტანოს იგი მესოპოტამიიდან ომითა და ზათქით წამოსულს. განუსაზღვრელად მახარებს ძათთვის მზერა და მათი დაწერა და ამიტომაც მოცლილ ბალღსავით ვეთამაშები ქართულ ასოებს, და განზრახული მაქვს უთუოდ დავწერო ანბანთა ქება მე ხელმეორედ. სწორედ ამ ასოების მზერისას ხმიანდება ჩემს გულში სახე, ფერი და მოძრაობა.

და მე მაგონდება ბნელი ღამე ატლანტის ოკეანეზე განცდილი ოდესღაც.

ოღვა ჯერ წყნარი იყო, ნამრუდის ფერი, არა ლილისფერი, აჰ, ლილის ფერი კი არა, ნავთგარეულ წყლისა ფერისა. უცებ იელვა და გაფხრიწა ცა ელვათკრთომამ. ადგნენ ზვირთები, აბიბინდნენ და აიქორჩნენ. ნელის ლაშლაშით შემოერტყნენ მყის ჭვინტს გემისას. ისევ დადუმდა ოკეანე თვალშეუვლები.

ისევ გაუსვა ქარმა ქორისფრთა და დააწვინა ტალღა ლელივით. ისევ აბორგდნენ, ახმაურდნენ, მალი ტალღები, შემოესიენ, შეელეწნენ გემის კიდეებს.

და შეუბღვირა ზღვას ლეგა ზეცამ. ისევ ცა ისევ გასჭრა ელვათა კრთომამ (ლეკურსა ჰგავდა მარჯვედ მოქნეულს).

არ ვიცი ღამემ, შემოქნევამ ცეცხლის ლეკურის რა ჩასჩურჩულეს დადუმებულ ზღვას. აზვავდა ტალღა, ამას მეორე გამოეკიდა და ყოველმხრიდან წამოვიდნენ ლეგეონები და გაიმართა ტრიამელ ზღვაზე თავაწყვეტილი ტალღათ ჯირითი.

როგორც გაზულუქებული ველური ტახები, ტყეში შეჰქმნიან ნავარდს უცნაურს ზეახტებიან გახურებულნი და შერჩებიან თამაშის დროს მუხის ტანს ეშვით, ისე ტალღები წამოვიდოდნენ შეახტებოდნენ გემს გაქანებულს, თავათ ნამცვრივად გადაქცეულნი.

კვლავ მოგვესიენ ბობოქარი ტალღები თქეშით. ზმუოდა ზღვა და ცას სხეპავდა ელვის ლეკური. ქაოსს გაეხსნა ვეშაპის ხახა და ურჩხულების ბობოქარი ლეგეონები მოლაშლაშებდენ წყალთ უდაბნოდან გადმოხვეწილნი. აიმღვრა ცა და ზღვა უფრო აფორიაქდა და ტალღა ტალღას შეაწყდა ბნელში და ურჩხულებად ქცეულნი ზვირთნი ადგნენ, შეასხეს ტვინი მრუმე ცას.

და ასე როცა მე მეგონა მკლავი შესდგაო, როცა ვფიქრობდი დამეშრიტა გონების ძალი და ფანტაზიას ჩემსას ფრთენი შეეკვეცაო, ენა ქართული ეს უფსკრული თვალშეუდგამი ისევ აზღვავდა, ისევ ადგა ამ ჩემს ცხელ სისხლში და წამოვიდნენ სახეები ტალღების დარად, მერმე აზვავდა სისხლი ჩემი, ოცნება ჩემი და მოქანცული, მდორე გონება თითქოს უეცრად დასხეპაო ელვის ლეკურმა.

მოვსდექ და ისევ შევუტიე ამ უფსკერო ზღვას თვალშეუდგამს და გახელებულს და კვლავ მომინდა დავსწერო წვრილად მე ქებაჲ დიდებულისა ქართულისა ენისაჲ.

ისევ ვზივარ განთიადიდან განთიადამდის და ღამეები მიჰქრიან როგორც ნაბდით დაჭედილი ბედაურები.

გარედ კი ღუღუნებს ელექტრომრიცხველი — ეს ინდუსტრიის ცისფერი მტრედი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველ მწერალთა ჯგუფი საკავშირო მწერალთა ჯ[illegible]ილობაზე. მარცხნიდან: ი. გრიშაშვილი, პ. იაშვილი, მარიჯან, შალვა დადიანი.

● ● ●

ვ. გაფრინდაშვილი

ფერო

შენთან მოდიან ნისლებით მთები
და გაოცებით გიცქერს ბუნება.
შავი მდინარე ქებათა-ქებით
წაპირებიდან გესალბუნება.
და მეც გავბედე, შენთან მოვედი,
რომ უმდაბლესი გიძღვნა სალამი.
გული — დამწვარი სიმარტოვეთი —
ათრთოლდეს როგორც ცეცხლის ალამი.
მე შენს წინაშე, ვით ცეცხლფარეში
ვდგევარ პირისპირ, მრისხანე ფერო,
რომ გამოვჭედო ახალ არეში
ლექსი მაღალი და სასიმღერო.
მე მაგონდება წარსული ბნელი
და აქ მონობა ჩემი წინაპრის,
ახლა ის არის მუშა — დამკვრელი
და შემოქმედი სხვანაირ ზღაპრის.
შენ ნაცნობ ცაზე ხარ ამართული,
როგორც ხომალდი და ბაირაღი
და თვითეული შენი სართული
დიდ შთაგონების არის ჩირაღი.
ე!, არის ცეცხლთან ბრძოლა გმირული,
არის ეპოსი ეს კომუნიზმის.
აქ დამკვრელობა თავგანწირული
შრომის უდიდეს მუსიკად ისმის.
ჩვენ ეს გმირობა მოგვცემს მეტ ფოლადს
და აურიცხველს მოგვცემს მანქანებს.
ერთი წუთითაც არ ცხრება ბრძოლა
და ფერო-მშენი წინ მიგვაქანებს.
ტრანსპორტიორებს მე მივყვებოდი,
ვუცქერდი ირგვლივ ბუნკერებს მრავალს.
და ამ სწორ გზაზე ხარბად ვავდებოდი
გამიზნულ მწვერვალს და თვით
მომავალს.

აქ ფერო-გიგანტს ელოდა მხარე
ისე ვით ხომალდს ელის ნაპირი.
ფერო — მაღალი და მოელვარე
გაჰკვეთს მთელ წარსულს ვით
ბირდაბირი.

ფერო კოშკია, ააქვს რომელიც
პროლეტარიატს თავის ხელებით.
ცეცხლი გუგუნებს დაუცხრომელი
და წმინდა ლითონს ჰქმნის გახელებით.
ღუმელთა ცეცხლი მკაცრად ღრიალებს.
კვამლით იფარვის ზეცის ტატნობი.
ხანძარი მუშებს შეატრიალებს,
სანამ გამოსჩქეფს ძირს შენადნობი;
ის დაილვრება ოქროს დაისად,
მრავალ ცქერათა დამატკბობელი.
ნუ გაგიჟდები ცეცხლო, დაიცა,
თორემ დაიწვა მუშა მდნობელი!
აი მზადაა ცეცხლისთვის კაზმი.
ისმის ღუმელთა გრგვინვა, თარეში.
ცეცხლს ისევ უტევს მუშების რაზმი,
დაჰქრის ხანძართა სიელვარეში.
როცა ღამეში მე გიცქერ, ფერო,
სტალინის აჩრდილს ვხედავ შენს თავზე.
კვლავ შუაღამის გააპე ჩერო
და აგუგუნდი — სიცოცხლით სავსე.
შენ რიონჰესით ხარ აგზნებული
და არასოდეს არ იქანცები.
ავ ღუმელების ავი კრებული
მუდამ ვარვარებს წითელ ანძებით.
მთებს ზურმუხტოვანს ცეცხლი ედება,
თითქოს ანათებს [illegible] მზიანი.
ფეროსთან ერთად [illegible] იჭედება
გმირი — ახალი ადამიანი.
ვით უდიდესი მუსიკა ისმის
ფეროს სიმღერა, ფეროს გუგუნი.
ეს არის თრთოლვა თვით კომუნიზმის,
აქ ტანმაღალი სჩანს საუკუნე.
რევოლუციას აქ აუგია
დაუღალავი თავის მხლებელი
და დღეს ზეიმობს მეტალურგია
ვით ერთად-ერთი კანონმდებელი.
იქ, სადაც იყო მთების დუმილი,
ცის დასავალის ყელი ლატანი,
დღეს ვეშაპივით გრგვინავს ღუმელი,
რომ გაატაროს ბრძმედში მადანი.
გვახარებს როგორც ყოფა მართალი
დღეს ჭეშმარიტი ჩვენ მრეწველობა.
ფერო ბრძანებლობს როგორც სარდალი,
როგორც მუშების დიდი მსვლელობა.
ფეროს არ სძინავს არც დღით, არც
ღამით.

იგი დამკვრელი არის თავიდან.
მან დასვენება არ იცის წამით,
ახლაც ალკვამლით ცაზე ავიდა.
გაშმაგებული ელექტროდები
მაინც დარდობენ ზედმეტ ძალაზე.
და ისხმებიან ოქროს ზოდები
იქ, სადაც შრომობს, მუშა სალაძე.
და თუ ეს ლექსი ვით ფერო-მდნარი
დაითანგება ცეცხლის იერით,
თუ ფოლადივით იქნება მყარი,
მაშინ მე ვიტყვი: ვარ ბედნიერი!
რეჟისორებო და თქვენ, მგოსნებო,
მოდით, ისწავლეთ გიგანტის ენა;
საქმე კეთდება აქ საოცნებო —
საუკუნეთა გადასარჩენად!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კ. მაყაშვილი

ბოროტების სიმღერა

განშორების ყამს ურიყრაყოა
შენი თვალების მუქი ლაჟვარდი...
სად შეეჩვია ულაჟვარდობას?..
შენთან ვატარე ჩემი ვაჟობა,
შენთან მომქონდა პირველი ვარდი;
ერთად ვერ ვხვდებით მაინც ვარდობას!..

***

ჩაგსახლებია მწუხრი თვალებში,
შენი მზე მოსჩანს მზის დასავალზე,
დაივლი ვენახს, დახვალ კაეშნით...
შეაჩერდები ცრემლიან ვაზებს.

***

გადახვეულან და როგორც ძმანი,
სტირიან ვაზნი — სევდით, გოდებით,
გახარებულნი, მტირალნი მაინც,
და, გაზაფხულის მახარობელნი!..

რისთვის ქვითინებთ, მარქვით ვაზებო,
მითხარით თქვენი ცრემლი რას ნიშნავს?..
შტოო, აპრილის სუნით სავსეო,
გაურია ცრემლი ვერცხლის ზარნიშად!

***

იქნებ სტირიან საკუთარ ბედზე,
გაღვიძებულნი გაშლილ ყლორტებად,
რომ გაზაფხული ვაზისთვის ბევრჯელ,
ცრემლიან თვალით განმეორდება!..

***

და, შენც მტირალი, როგორც ვენახი,
ვით ღვინობისთვის დამჭკნარი ვარდი,
მასავით ნაზი და ულაჟვარდო,
ნეტავ არ ოდეს შენ არ მენახე...
ვერ ამიხსნია რისთვის მიყვარდი,
ვარდობის თვეში დამზრალო ვარდო!..

მზის დაბადება

ეს ვარსკვლავები დაფარულ ბედზე,
უცნობ წარწერებს უნდა ნიშნავდენ...
და მე ვკითხულობ ცის პერგამენტზე,
მარადისობის უპანიშადებს...

და, უჩინარი შვიდი დღის მთვარე,
ბავშვივით მჯდარი სისხლიან ეშვზე,
გადივლის ზეცას და ვით დაირა
შეაუღრიალებს შემზარავ ეუვნებს...

გატყდება ღამე...
ალვის ხის რტონი
პირველ სიმღერას იტყვიან მზეზე,
და ვარსკვლავები, ზეცის მხატვრობით
ქვეყნად მზის მოსვლას შეიცხადებენ!.

სექტემბერი, 34 წ.

კარლ რადეკი აკეთებს მოხსენებას საკავშირო მწერალთა ყრილობაზე

დელეგატის შთა

მიხ. ჯავახიშვილი

მიხეილ ჯავახიშვილი

სანდრო შანშიაშვილი

ირაკლი აბაშიძე

ზოგს ეშინოდა, ზოგს კი ამედი ჰქონდა, მწერალთა ყრილობა მხოლოდ იმისთვის არის მოწვეული, რომ შტაბი დაარსონ, რომელიც მწერლებს ჯარსავით დააწყობს და ყველა მწერალს ბაიათსავით ერთ ხმაზე ამღერებსო.

ყრილობამ ეს შიში გაფანტა და იმედიც გაქარწყლა. მე ერთი ჯგუფის საუბარს შევესწარი. ერთმა გამოჩენილმა მწერალმა უთხრა ფრიად პასუხისმგებელ ამხანაგს: ყრილობა დაიქსაქსა, ზოგი ალთას მიიწევს და ზოგი ბალთასო. ამხანაგმა მიუგო:

— ამ დაქსაქსულობაში მე უმკერესს მთლიანობას ვამჩნევ. ყრილობამ თავიდანვე ფოლადისებური საბჭოთა ღერძი შეიდგა. მას გარს ეხვევა სხვადასხვანაირი ინდივიდუალური და ეროვნული ხმა, ხერხი, კილო. ყველა თავის ხმაზე მღერის, მაგრამ ყველანი ერთ საბჭოთა სიმღერას მღერიან. ეს სხვადასხვაობა დაქსაქსულობა კი არ არის, არამედ ჩვენი მწერლობის სიმდიდრეა.

რა თქმა უნდა, ამხანაგმა სიმართლე სთქვა, რომელიც ყრილობამ დაუდასტურა. ეჭვიანებიც დაწყნარდნენ, ვინაიდან მალე დარწმუნდნენ, რომ ყრილობას თითქმის მხოლოდ შემოქმედების საკითხები აინტერესებდა. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ გარემოებას, რომ ყრილობას ამ საკითხებზე რეზოლუცია არ გამოუტანია. უამრავი პრობლემა წამოაყენეს, იმსჯელეს და სოციალისტური რეალიზმით მორკალული ასპარეზი კვლავ თავისუფალი დასტოვეს.

ჩემზე და ყველაზე განსაზღვრელი შთაბეჭდილება იმან მოახდინა, რომ ერთ დარბაზში 58 ეროვნებამ მოიყარა თავი და ეს 58 [illegible] დაბოლოს ერთ ენაზე მიტყველებდა. ამგვარი გამოფენა ჯერ არსად არ ყოფილა. ვისი სულიერი და ფიზიკური სახე არ ყოფილა იქ! ქურთი და ჩუვაში, ებრაელი და ტაჯიკი, იტალიელი და უზბეკი, ინგლისელი და ოსი, ფრანგი და ბურიატი, მონღოლი და ესპანელი — ყველას მოეტანა თავის სული, თავის აზრი, ძველი ტრადიცია და ახალი რწმენა. ამ გამოფენის შესწავლამ და ერთმანეთის გაცნობამ ყველა მწერალს მრავალი რამ შესძინა და მისი გონებრივი არე გააფართოვა.

გორკიმ სთქვა, ეს ყრილობა მარტო რუსი მწერლების ყრილობა არ არისო. სიმართლე ამ აზრისა მალე გამოაშკარავდა. მიუხედავათ ამისა ერთ ალაგას სხვანაირმა აზრმაც გამოაჟონა. სთქვეს, ერთი ერის ლიტერატურას მეორისგან მხოლოდ ენა ანსხვავებსო. მას მიუგეს: ყველა მწერალი უმთავრესად თავის ფოლკლორზე და კლასიკოსებზე იზრდება (შექსპირი, გოეთე, რუსთაველი, პუშკინი) და შეუძლებელია მწერალმა სულ დაივიწყოს სალიტერატურო ტრადიცია და თანმიმდევრობის კანონი. გარდა ამისა, ის ვერ მოსწყდება თავის ქვეყნის არეს, გეოგრაფიას, ყოფას, კულტურულ მემკვიდრეობას და საერთოდ იმ ალაგობრივ მასალას, რომელიც აუცილებელი ელემენტია ყოველი კარგი ნაწარმოებისა. იდეებს რომ თავი დავანებოთ, სწორედ ამ ტრადიციებისა და ამ მასალის წყალობითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ამერიკელი პოლ მარანი და ნორვეგიელი ჰამსუნი, ამერიკელი ტვენი და რუსი ტოლსტოი, ვინმე ჩინელი და ვინმე ესპანელი. მაშასადამე, ენის

ნიკოლო მიწიშვილი

პანტ. ჩხიკვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭდილებანი

ხიშვილი

გარდა სხვანაირი სხვაობაც ყოფილა. სტალინის ფორმულა „სოციალისტური შინაარსით და ფორმით ეროვნული“ — გაცილებით უფრო ფართოა და ენა მხოლოდ ნაწილია ფორმისა.

აზრთა გაცვლა-გამოცვლას კლასიკოსთა გაცვლა მოჰყვა. როცა დარბაზში გაისმა, პუშკინი ყველა ერთვნებას ეკუთვნისო, არც სხვებმა იძუნწეს და გულუხვად მიუგეს: ნაზიმი, შევჩენკო და რუსთაველიც საერთო სალაროში შეიტანეთო.

ყრილობას ყოველმხრივ ზვავივით აწვებოდა პრობლემები: სტილი, ჟანრი, ენა, პროზა, პოეზია, დრამატურგია, თემა, ტიპი, ფაბულა, სიუჟეტი, ცოცხალი ადამიანი სოციალისტური რეალიზმი, პროლეტარული ჰუმანიზმი, საბავშო ლიტერატურა, კადრების აღზრდა, თარგმანი, ფოლკლორი, ურთიერთის გაცნობა და სოლიდური განაყოფიერება—აი რა მოახდომა ყრილობამ ხუთმეტი დღე. ამ ყრილობის სტენოგრამა მალე გამოვა და იგი ყოველ მწერალს ძუდამ თვალწინ მაგიდაზე ექნება.

ყრილობა ერთხმად მოითხოვდა, ლიტერატურის დონე უმაღლეს მწვერვალზე უნდა ავიტანოთო. ამას მკაცრად მოითხოვს მშრომელი ხალხი და საბჭოთა კომუნიზმის ინტერესი. ეს აზრი ყრილობის დედაბოძად იქცა და ყველაზე მწვავედ იგი ბუხარინის მოხსენების ირგვლივ გამოჩნდა. ზოგს მოეჩვენა თითქოს სალიტერატურო სნობიზმისკენ მივყავდეთ და მასიურ ჟანრზე ხელს ვიღებდით. ეს მართალი არ იყო. მწვერვალზე ასვლა სავალდებულოა ყველა ჟანრისათვის, თა საქართველოს დელეგაციამ ბუხარინს სწორედ ამიტომ გამოუცხადა სოლიდარობა.

განსაკუთრებული ალაგი დაიმკვიდრა ქართულმა მწერლობამ და, კერძოდ, ტოროშელიძის მოხსენებამ, რომელიც მოულოდნელი აღმოჩნდა ყრილობისათვის აღნაგობისა და გამუქების მხრივ. გავიხსენოთ მახლობელი წარსული. ჩვენი კლასიკოსების შეფასებაში ძლიერ დავიგვიანეთ. მათი შემოქმედების ნიმუშები თითქმის სულ ამოვაგდეთ სახელმძღვანელოდან. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთმა მწერალმა საჯაროდ განაცხადა, შეწევნითა ღვთისათა ქართველი ხალხი რუსთაველის სახელს მალე სულ დაივიწყებსო. (ეხლა კი რუსთაველის სურათი სხვა კლასიკოსებთან ერთად ყრილობის დარბაზს ამშვენებდა და მისი ძეგლი მალე ტფილისსაც დაამშვენებს). აიც ყველას ეხსომება, რომ მწერალთა ერთი ჯგუფი მეორე ჯგუფს უსაყვედურებდა საქვეყნოდ, ილია ჭავჭავაძე თქვენ დიდ მწერლად მიგაჩნიათო. ტოროშელიძემ ჩვენი კლასიკოსები ახალნაირად შეაფასა და ამიტომ მისი მოხსენება ახალ თარიღად ჩაითვლება.

მკითხველს უნდა გავახსენო, რომ „იზვესტიამ“ ამ მოხსენებას „საუცხოვო“ უწოდა.

ამას ზედ დაერთო ქართული პოეზიის საღამო, ქართული დრამატურგიის საღამო, წერილები, ანკეტები, გამოსვლა რადიოში, გამოსვლა ყრილობაზე ექვსი ქართველი მწერლისა, გამოსვლა რამდენიმე თარგმნილი ქართული წიგნისა, წიგნების გამოფენა და სხვ. ყველაფერს რომ თავი მოუყაროთ, მგონი გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი: ქართულ დელეგაციას თავი არ შეურცხვენია.

შალვა დადიანი

კონსტ. ლორთქიფანიძე

დემნა შენგელაია

ბესო ჟღენტი

ლეო ქიაჩელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან ასათიანი

სალომე

მეთვრამეტე საუკუნის პოეტი ქალი*)

მე-18 საუკუნის პოეტ ქალებს შორის თავისი ორიგინალური შემოქმედებით გამოირჩევა **სალომე ფარსადანის ასული.**

მისი „მწუხარებისა ანბანთქებანი“, ანუ როგორც თითონ უწოდებს, — „სევდის წიგნი“, შენახული სიძველეთა № 598 ხელნაწერში. იგი გადაწერილია ყვითელ ქაღალდზე, უხეირო მხედრულით და წარმოადგენს პატარა წიგნს, რომელიც ჩალისფერ, უხეშ ყდაშია ჩასმული.

თედო ჟორდანიას აზრით ეს ნუსხა გადაწერილი უნდა იყოს მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში. [1])

სალომეს ნაწარმოები შეიცავს: 1) ოთხ ანბანთქებას (149 ტაეპი), 2) ჩახრუხაულით დაწერილ ანბანთქებას, რომლისგანაც ჩვენს ხელნაწერში, ფურცლების დაკარგვის გამო მხოლოდ ორი დასაწყისი ტაეპი (ანზე და ბანზე) დარჩენილა და 3) თექვსმეტმარცვლოვანი შაირით დაწერილ ოცდაათ ტაეპს.

„სევდის წიგნი“ წარმოადგენს ბიოგრაფიულ - ეპისტოლარული ხასიათის პოემას.

მთელი ნაწარმოები გამსჭვალულია უაღრესი ელეგიური განწყობილებით და რელიგიური გრძნობით. შინაგან ნაწილებს აერთიანებს ერთი ძირითადი თემა: ქალის გლოვა, გამოწვეული საყვარელი ქმრის შორეულ მხარეში გადაკარგვით.

სალომეს შესახებ არავითარი პირდაპირი ისტორიულ-ლიტერატურული ცნობა არ მოგვეპოვება. მისი ვინაობის და ცხოვრების დროის გამოსარკვევად უნდა მივმართოთ ისევ მის ნაწარმოებს.

როგორც ტექსტიდან ირკვევა, სალომე თანამედროვეა, **ერეკლე მეფისა.** იგი მრავალგზის იხსენიებს ერეკლეს, როგორც პოლიტიკურ მტრებთან, სახელმწიფოს ორგულ ფეოდალებთან მებრძოლ მეფეს (იხ. ტაეპი ანბანთქ. 48, 115, ჩახრუხ. 2). თვით სალომეს ვინაობის შესახებ არაფერი ვიცით. პოემიდან ჩანს, რომ სალომეს მშობლები ყოფილან ვინმე **ფარსადანი** და მისი მეუღლე **დარეჯანი.** იგი ადრე დაობლებულა. თორმეტი წლისას დედაც გარდაცვლია. ჯერ კიდევ ბავშვის ასაკში სალომე დაუნიშნიათ თუ გაუთხოვებიათ „ღვდლობაში გაზრდილ“ ჭაბუკზე:

„ის იყო თუთხმეტის წლისა, შევხვდი მე ცხრა წლისა და
ნებიერობით გამზარდა არ
გამიფრთხობდა ძილსადა“...

სალომეს ყველა ნათესავები დახოცია: მშობლები, ბიძა, დები, დისწულები.

მესამე ანბანთქება მთლიანად მისი სამწუხარო ბიოგრაფიული თავგადასავლისა და გარდაცვლილი ნათესავების მოგონებისათვის არის მიძღვნილი. რაღაც პოლიტიკური ხასიათის დანაშაულის გამო, ერეკლე მეფის რისხვის თავიდან ასაცილებლად, მღვდელი იძულებული გამხდარა თავის „ბატონთან“ ერთად ახალციხეს გადახვეწილიყო და იქ ფაშისათვის შეეფარებინა თავის.

სალომეს პოემის დაწერის დროს მღვდელი უკვე სამი წლის ემიგრანტია. ანბანთქება აღსავსეა მარტოდ დარჩენილი დიაკაცის მოთქმითა და გოდებით. მეთვრამეტე საუკუნის ქართველი პენელოპა მწარედ დასტირის თავის უნუგეშო ხვედრს. იგი ევედრება ღმერთს დაიხსნას მისი მეუღლე გაჭირვებისაგან და მშვიდობიანად დაუბრუნოს იგი ოჯახს:

„შენ აჩვენე მღვდელს კიდევა საცოდავი სამი შვილი“ (138 ტაეპი).
„თათართა ხელისგან იხსენ ნახვას გეაჯი წმინდაო,
თუ ცოცხალმა ველარ ვნახო, სულსა შემყარე წმინდაო“ (10 ტ.).

საფიქრებელია, რომ მღვდელი კარის მოძღვარი იყო ერეკლე მეფის წინააღმდეგ შეთქმული ან აჯანყებული რომელიმე ფეოდალისა, რომელიც ახალციხეს გადავარდნილა. მღვდელიც თავის „პატრონთან“ იმყოფება, ამის შესახებ გარკვევით მიგვითითებს სალომეც რამდენიმე ადგილას:

„ბედშან მაღირსოს ბატონი ჩვენი შერიგდეს მეფეს მაღლისა ძალით“ (ჩახრ. 2 ტ.).

„იადვილე ღმერთო ჩემთვის ძნელის ცეცხლის განქარვება,
ირაკლი მეფეს დამართე ბატონს ჩვენზე მოწყალება,
ისევ მოხვდეს სამკვიდროსა, უადგილოს ნუ დაშთება“ (ანბანთ. 11 ტ.).

სალომე შესთხოვს ღმერთს, რათა მან ერეკლე მეფეს მოულბოს გული გაქცეულებზე:

„იფიქროს ჩვენმა ბატონმა შენ რა მიაგე რა მასო
ირაკლი მეფეს ჩაუდე ვით გული შვილზე მამასო“. (ანბანთქ. 48 ტ.).

როგორც პოემიდან ჩანს, ერეკლე

---

*) ერთი თავი გამოკვლევიდან: „ძველი საქართველოს პოეტი ქალები“.

[1]) Ф. Жордания—Опись рукоп. церк. муз. II, ст. 105, № 598.

რისხვა მარტო მღვდლის ბატონს როდი დასტეხია თავს. სალომე მიმართავს ღმერთს:

„გაქვს უფსკრული მოწყალება, ღმერთო ამით გევედრები,
გული მიეც მეფეს ჩვენსა შეირიგოს თავადები
განიშოროს ორგულობა, გააცუდოს მათი მტრები“... (ანბანთქ 115 ტ.).

სალომე ლაპარაკობს მეფისაგან განდგომილ ფეოდალების შესახებ, მისი სიტყვიდან სჩანს, რომ რომელიღაც თავადებს მეფე ერეკლესთან შესარიგებლად ჰქონიათ საქმე, რომ მეფეს ჰყავს „ორგულები“ და „მტრები“, ცხადია თავადების წრიდან.

სალომეს შაირები მიგვითითებენ მე-18 ს. საქართველოს შინა-პოლიტიკური ცხოვრების რომელიღაც მსხვილ ისტორიულ ფაქტზე—სახელდობრ ერეკლე მეფის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაზე ან აჯანყებაზე და თავადების განდგომაზე. ისტორიულად ცნობილია რამდენიმე აჯანყება, რომელიც ქართლის ფეოდალებმა ერეკლე მეფეს მოუწყვეს. ჩვენ ვიცით მაგალითად 1757 წლის აჯანყება ქართლ-კახეთში მცხოვრებ მუსლიმან მოსახლეობისა, რომელიც ინსპირირებული იყო მსხვილ თავადების მიერ. ეს ამბოხება ერეკლემ ჩააქრო, მაგრამ მეამბოხეების წინააღმდეგ რაიმე სასტიკი ზომებისათვის მაშინ არ მიუმართავს. აჯანყებულებს გადახდათ მხოლოდ ჯარიმა ნატურის სახით: 5 ათასი ცხვარი, 4 ათასი ძროხა, ასი ცხენი და სხვ.

უფრო სერიოზული პოლიტიკური სარჩული ედვა მეორე შეთქმულებას, რომელიც 1767 წელს მოხდა. ქართლის ფეოდალებმა, რომელთაც არ მოსწონდათ ერეკლეს ცენტრალისტური პოლიტიკა, მოინდომეს მისი მოშორება და ქართლის ტახტზე ვახტანგ მე-6-ის შვილიშვილის გამეფება. ეხლა კი სასტიკ ზომებს მიმართა ერეკლემ, დამნაშავეთა უმეტესობა შეიპყრო, ზოგს თავი მოჰკვეთა, ზოგი ჩამოაღრჩო და დახვრიტა. გადარჩა ის, ვინც გაქცევით უშველა თავს.

საფიქრებელია, რომ სალომეს ანბანთქებაში მოხსენებული მღვდლის „ბატონიც“ ერთი ამ შეთქმულებაში მონაწილე თავადთაგანია, რომელიც მათთვის ასე არა სასიამოვნოდ დამთავრებული საქმის შემდეგ გაქცევია ერეკლეს რისხვას და თავი შეუფარებია ახალციხის ფაშის კალთის ქვეშ. ეს პირველი მაგალითი არ იქნებოდა ქართლ-კახეთის ან იმერეთის სამეფოდან გაქცეულ უკმაყოფილო ან მეამბოხე თავადის—ფეოდალის შეფარებისა ახალციხის ფაშის მიერ. ჩვენ ვიცით, რომ იმ ხანებში, განსაკუთრებით მე-18 ს. მეორე ნახევარში,—სამუსლიმანო საქართველო, კერძოთ ახალციხის საფაშო წარმოადგენდა ქართლისა და იმერეთის სამეფოების წინააღმდეგ მიმართულ ოსმალთა აგრესიის დასაყრდენ ციტადელს. ცენტრალური ხელისუფლების მოძულე რავი პირები ახალციხის ფაშასთან გარბოდენ და მეფეთა წინააღმდეგ იქიდან ეწეოდენ ინტრიგებს. იმერეთის სამეფოს ისტორიაში მაგალითად ცნობილია დიდი ფეოდალის ლევან აბაშიძის გაქცევა ახალციხეს და იქიდან დიდი ჯარის წამოყვანა სოლომონ მეფის წინააღმდეგ, რაც დამთავრდა ისტორიაში ცნობილი ხრესილის ომით (1757 წ.), ოსმალეთის სასტიკი დამარცხებით და ლევან აბაშიძის მოკვლით*)

როდის უნდა იყოს დაწერილი სალომეს „სევდის წიგნი“? თუ დავუშვებთ, რომ სალომეს ანბანთქებაში მოხსენებული ახალციხეს გადახვეწილი „ბატონი“ მონაწილეა ერეკლეს წინააღმდეგ მოწყობილი 1767 წლის შეთქმულებისა, მაშინ სალომეს პოემა დაწერილი უნდა იყოს 1760-61 წ. რადგან, როგორც ზემოდაც აღვნიშნეთ, სალომეს „სევდის წიგნის“ წერის დროს მღვდელი უკვე სამი წლის ემიგრანტია: „წელიწადი სამი არის, მუდამ მატირებ მე შენო“ (ანბანთქ. ტ. 68), „მატირა სამს წელიწადს, სევდა გაზშირდა გულშია“ (ანბანთქ. ტ. 14), ის იმყოფება თავის ბატონთან ერთად: „ორგულს არ გავხარ მე ვიცი, ბატონი შენი, გვერთ გიზის“. (ანბანთქ. ტ. 16), „რადგან ღმერთმან გააჩინა პატრონს ყმანი გვერდს უნდა ჰყვნენ, როდეს ღმერთი გადმოხედავს წყალობასაც დიდსა ნახვენ“ (ანბანთქ. ტ. 19). ყოველ შემთხვევაში სალომეს „ანბანთქებნი“ თავისი დაწერის დროით ეკუთვნიან ერეკლე მეფის სამხედრო და პოლიტიკური ძლიერების ხანას—მე-18 ს. მესამე მეოთხედს.

სალომეს „სევდის წიგნი“ თავისი იდეური შინაარსით, განწყობილებით და საერთო ხასიათით საუკეთესოდ გამოხატავს მე-18 ს. დეგრადაციის გზაზე დამდგარი ქართული ფეოდალური არისტოკრატიის მსოფლმხედველობას და სულისკვეთებას. უაღრესი სარწმუნოებრივი ფეტიშიზმი, ამავე დროს სკეპტიკური განწყობილება; მელანქოლია, და უიმედო პესიმიზმი ჩვეულებრივი მოტივებია საერთოდ მე-18 ს. ქართ. ფეოდალურ პოეზიაში. „ანბანთქება“, როგორც პოეტური ჟანრი ისევე დამახასიათებელია ჩვენი მე-18 ს. არისტოკრატიული პოეზიისათვის, როგორც ფსევდო-კლასიკური ტრაგედია და ოდა დასავლეთ ევროპისა და რუსეთის გაბატონებული კლასების ლიტერატურისათვის.

სალომე თავისი პოეტური ბუნებით და წერის მანერით ძალიან წააგავს მე-18 საუკუნის მეორე პოეტქალს **მანანას**. ორივე,—სალომეც და მანანაც, დავით გურამიშვილის სკოლის პოეტები არიან.

*) ქ. რაჭველიშვილი—საქართველოს ფეოდალიზმის ისტორია. სახელგ. 1927 წ. გვ. 105.

უცხოელი მწერლები საქართველოში: (მარცხნიდან): ბრუნო იასენსკი, პლივიე, ალბერტი და მარია ტერეზა ლეონა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერალთა ყრილობის შემდეგ

დემნა შენგელაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრილობაზე ჩემთვის მრავალი რამ იყო საინტერესო.

დღევანდელი საბჭოთა მწერლობის უმთავრეს მამოძრავებელ ძალების უშუალოდ გაცნობა და გარკვევა იმისა თუ რა საკითხები აწვალებს თვის ყოველ მათგანს.

აქამდი ნაციონალურ რესპუბლიკათა უმთავრეს ნაკლს ის წარმოადგენდა, რომ მათი ლიტერატურანი ვიწრო ნაციონალური ფარგლებით იყო შემოზღუდული, რაც მათ პროვინციის ელფერს დასჭკრავდა. ამ ყრილობაზე ის შემომზღუდავი მიჯნები თითქოს წაიშალა და ჩვენ შევედით დიდ საკავშირო ლიტერატურის ოჯახში. რომელიც დღეს იდეურად მთელ მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ლიტერატურას წარმოადგენს. ამიერიდან ეს ნაციონალური ლიტერატურანი აღარ იქნებიან ძველებურად კარჩაკეტილნი და ჩაზღუდულნი, რაც მათ ხარისხზე უეჭველად დადებით გავლენას მოახდენს.

ამ ყრილობაზე მწერლები ლაპარაკობდენ თავის მიღწევებზე, ნაკლზე და მთელ რიგ პრობლემებზე, რომელნიც დღეს დასმულია საბჭოთა ლიტერატურის წინაშე.

ძირითად პრობლემას წარმოადგენდა სოციალისტური რეალიზმი.

საბჭოთა ლიტერატურა სოციალისტური რეალიზმის მეთოდით შესძლებს იმ გრანდიოზული იდეების ასახვას, რომლითაც სოციალიზმის მშენებელი ქვეყანა სულდგმულობს. რაც შეიძლება მეტი კონკრეტულობა და ამ კონკრეტულობაში დანახვა იმ დიდი ტენდენციებისა, რომელსაც დღეს ჩვენს წინსვლას ისტორიული მიუცილებლობა უკარნახებს. რეალიზმში პლუს ტენდენცია, მაგრამ ტენდენცია არა თითებიდან გამოწოვილი, არამედ ტენდენცია ცხოვრების ისტორიული განვითარებით ნაკარნახევი. ეს ტენდენცია კი დღეს ყოველ წვრილმანში ისე გამოსჭვივის როგორც ცვარზე დაცემულ სხივში სპექტრი. ამ ტენდენციის მკაფიოდ დანახვა მოგვცემს ჩვენ შესაძლებლობას ავსახოთ სინამდვილე.

აქამდე ჩემთვის ნათელი არ იყო ეს საკითხი.

ახლა ჩემთვის აშკარა შეიქმნა ერთი და უმთავრესი: საჭიროა საზოგადოებრივ ცხოვრებასთან მჭიდრო და განუწყვეტელ კონტაქტში ყოფნა და უშუალო მონაწილეობა იმ გრანდიოზულ მშენებლობაში, რომელსაც დღეს ჩვენი ქვეყანა ეწევა. საჭიროა მასალის ძირეულად ცოდნა, ამ საკითხით უშუალოდ ჩაწვდომა და მაშინ მეთოდის დაუფლებაც შეიძლება.

აღებულ იდეის ნაძალადევად თავზე მოხვევა კი არა, არამედ ამ იდეის პოვნა აღებულ ადამიანში.

ჩვენს ლიტერატურას აქამდე ჰქონდა ერთი დიდი ნაკლი: ჩვენს მწერლებს ავიწყდებოდა ერთი მთავარი რამ და ეს მთავარი რამ იყო ადამიანი. ადამიანი, მშენებელი ახალი ქვეყნისა, ადამიანი, ორგანიზატორი ახალი ცხოვრებისა. ჩვენი ლიტერატურა აქამდე უმთავრესად აღწერილობითი ხასიათს ატარებდა. ჩვენ აღვწერდით და არ ვწერდით ქარხნებს, მანქანებს, კოლმეურნეობებს, რომელთაც ჩვენ გვინახავს ერთი ან ორი დღის ბრიგადული ხასიათის სტუმრობის დროს და ადამიანები, რომელნიც ჰქმნიან ამ ქარხნებს, ადამიანები, რომელნიც ჰფლობდენ ამ მანქანებს რაღაც იდეისათვის, გვავიწყდებოდა; აქედან ის სქემატიურობა, პაპიე-მაშის კაცი-ტიკინები. ბოლშევიკი ასპროცენტიანი ბოლშევიკი უნდა ყოფილიყო, მავნებელი ასპროცენტიანი მავნებელი, რევოლუციონერი მხოლოდ „გაუმარჯოს რევოლუციას“ იძახდა ყოველ მესამე აბზაცში და არც ერთი ნაკლი, არც ერთი შინაგანი წინააღმდეგობა ადამიანის ბუნებაში, იმ ადამიანისა, რომლის სიყრმე კაპიტალისტურ წყობილებაში იყო მიბჯენილი წარსულით. ეს გმირები მოქმედებდენ მანქანებივით და გვავიწყდებოდა რომ ადამიანს აქვს სიძნელეები, ჩვევები, თუნდაც ბუნება ეგოიზმისა, ავხორცობისა, რომელსაც ის ყოველ წუთს ებრძვის და ამ ბრძოლაში ის ხან მარცხდება და ხან იმარჯვებს. ასეთი ლიტერატურა არავის არაფერს ეუბნებოდა, პირიქით, აბეზრებდა მკითხველს, რადგან მან წიგნის პირველ გვერდიდანვე იცოდა რით გაათავებდა ესა თუ ის გმირი თავის ცხოვრებას წიგნის ბოლოში.

ჩვენ გართული ვიყავით ათასგვარ წვრილმან ფორმალისტურ საკითხების ირგვლივ და ერთი მთავარი, მკითხველი მასსა, გამოგვრჩა. ამიტომ ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საკავშირო ყრილობაზე პოეტ **ბორის პასტერნაკის** სიტყვა, რომლითაც მან მიმართა არა დელეგატებს, არა სტუმრებს, რომელნიც ყრილობას ესწრებოდენ, არამედ იმ მილიონიან მასსებს, რომელთა წარმომადგენლები მისალმებებით მოდიოდენ ყრილობაზე დაწყებული **ირკუტსკის პიონერებით.** გათავებული დონბასის გმირით ნიკიტა **იზოტოვითა** და არქტიკის ეპოპეის გმირით **შმიდტით.** ისინი კანონიერად მოითხოვდენ რომ ჩვენ, მწერლებს, აგვესახა მათი გმირული ბრძოლა სოციალისტური ქვეყნის დამყარებისა და განმტკიცებისათვის, მათი ცხოვრება და ყოფა. ისინი ათასობით იდგნენ დილიდან ღამის პირველ საათამდე საბჭოთა სახლის წინ ქუჩაში და უცდიდენ მწერლების გამოსვლას. ისინი ამ სიყვარულით გვაგონებდენ რომ ლიტერატურა მარტო ჩვენი შინაური საქმე კი არ არის, ეს მათი საქმეცაა. ეს გარემოება ჩვენში კიდევ უფრო აძლიერებდა პასუხისმგებლობას.

უბრალოდ არ უთქვამს **ილია ერენბურგს**, რომ ჩვენ ქვეყანას ვაკეთებთ არა მანქანებით, არამედ ადამიანებით, რომელნიც ჰქმნიან და ჰფლობენ ამ მანქანებს. ეს საკვირველი ადამიანები კი მარტო მანქანებით არ ცხოვრობენ, ისინი იცინიან კიდეც. ერთობიან, კითხულობენ ჩვენ წიგნებს და რახან კითხულობენ ჩვენ არ გვაქვს ნება ვწეროთ ცუდად. ამიტომ ამოხდა ლეონიდ სობოლევთან ერთად ბაბელს ტრიბუნაზე, რომ ჩვენ, მწერლებმა, დავკარგეთ დიდი რამ და ეს დიდი რამ არის უფლება ცუდად წერისა. ამისთვის წინად პასუხს არავინ გვაგებინებდა, ახლა კი პასუხს ვაგებთ. ჩვენ აღარა გვაქვს უფლება ცუდად წერისა!

განსაკუთრებული აზრი ენიჭება **ანდრე მალროს** სიტყვას, რომელმაც განაცხადა რომ ჩვენ ლმობიერნი ვართ მავნებლებთან და დაუნდობელნი ვართ მწერლების მიმართ. ეს დაუნდობელი მსაჯული კი არის ჩვენი ახალი საბჭოთა მკითხველი; მას არ შეუძლია გვაპატიოს ჩვენ, რომ მას ტყუილ-უბრალოდ წავართვათ ძვირფასი დრო მდარე ნაწარმოების კითხვით. ეს გარემოება არ აძლევს ნებას მწერალს ცუდად სწეროს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ტფილისის რეკონსტრუქციისათვის მიძღვნილ გამოფენაზე: ნაწილი პროექტები ს:

კონტრაბანდისტები

ედ. ბაგრიცკი

მხნე და უშიშარი
მიჰქრის ეს შალანდა:
ბერძნებს ადესაში
მიაქვთ კონტრაბანდა.
ნავზე ოდნავ მოსჩანს
სამი ამხანაგი:
პაპა სატიროსი,
სტავრაკი, ანაკი.
ხშირად ჰქქავს ქარი,
დასტვენს ზევით, ქვევით,
და ნავსა შეარხევს
ყაჩაღურ შეტევით,
რომ ანძა აკვნესდეს
მთელი თავის ბარგით.
— ეს კარგი საქმეა,
ეს საქმეა კარგი!
ვარსკვლავებმა მორწყან
თავისი მძივებით
კონიაკი, პუდრი,
პრეზერვატივები.
ო, ბერძნული აფრა,
ბანდიტების ფუძე.
ოი, შავო ზღვაო,
ქურდი ქურდზე.
თორმეტი საათი—
დროა მეტად ფრთხილი.
ამ წყვდიადში სამი
მესაზღვრე და ჩრდილი.
და სამ მესაზღვრეთა
ექვსი ღია თვალი
და ნავი მოტორით—
ღამე გაუვალი.
და წინ სამ მესაზღვრეს
ქურდი უცქერს ნელა:
— ამ ურჯულო ზღვაში
გადავყაროთ ყველა,
რომ წყალი საჭესთან
აგუგუნდეს მალე:
ეს კარგი საქმეა,
ო, შენ გენაცვალე!
რომ პატარა გემი
მისი ნაწილებით
ბენზინმა დაგრაგნოს
ჯადოსნურ ცვლილებით.
ოი, შუაღამე,
ვარსკვლავთ სველი ფუძე.
ოი, შავო ზღვაო;
ქურდი ქურდზე.
და მეც მენატრება
ვიდოდე ამ გზებით,
გავიჯგიმო ნავში
აშლილ ულვაშებით.
წინ მიმავალ ნავთან
რომ ვნახო ვარსკვლავი,
და ხმა შევიცვალო
უცხო კილოკავით.
შორიდან მესმოდეს
ქარის ცივი სტვენა,
დამზვერავ მოტორის
ხმაური და ენა.
იქნებ ამჯობინოს,
რომ ხელში ნაგანით
ქურდს ვზვერავდე ნისლში—
მიმავალსა განით.
და ვიგრძნო გრიგალის
მე ძარღვებში სრბოლა,
იალქნების კვალით
ზღვაზე გავიქროლო
და უცბად წავაწყდე,
როს არ ვფიქრობ მტერზე,
ნავის ბნელ საჭესთან
ულვაშიან ბერძენს.
ჰაშ მცემე ძარღვებში,
ქვეყანა დაბუგე,
ჩემო უპატრონო.
ავო სიჭაბუკე
რომ ვარსკვლავთა მტვერად
სისხლი დაიღვაროს,
რომ გასროლილ ტყვიად
ეძგეროს სამყაროს,
რომ იყოს ტალღების
ბრბო დაუყუჩები,
რომ ავმა სიმღერამ
გახლიჩოს ტუჩები.
და გულის ცახცახით
მე უნდა ვიმღერო:
ოი, შავო ზღვაო,
ზღვაო მშვენიერო!

თარგმანი ვ. გაფრინდაშვილის.

750 წელი შ. რუსთაველის დაბადებიდან

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წლის 20 აგვისტოს დადგენილება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

1. 1937 ოქტომბერს მთელს საქართველოში მოეწყოს საყოველთაო სახალხო ზეიმი შოთა რუსთაველის დაბადების 750წ. თავის აღსანიშნავად 750 წელიწადი შესრულდა, რაც დაიბადა უდიდესი პოეტი, მხატვრული სიტყვის გენიოსი ოსტატი შოთა რუსთაველი, რომლის უკვდავი ქმნილება,, ვეფხვის ტყაოსანი"— მიუხედავად იმისა, რომ ბნელეთის მოციქულები— ფეოდალ—ხუცესები საუკუნეთა განმავლობაში სდევნიდენ მას და ცეცხლშიც კი ნთქავდენ,— ლაჰავს საუკუნეთა წყებას, ხდება ხალხის ნამდვილი კუთვნილება, უდიდეს გავლენას ახდენს მთელს შემდგომ ლიტერატურაზე და წარმოადგენს პოეტური შემოქმედების იმ ჯერ კიდევ მიუწვდომელ მწვერვალს, რომელზედაც უნდა სწავლობდეს საქართველოს თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურაც.

2. ტფილისში **აღიმართოს** შოთა რუსთაველის ძეგლი.

3. საიუბილეო ზეიმის ყველა მოსამზადებელ სამუშაოთა მოსაწყობად და შოთა რუსთაველის ძეგლის კონკურსის ჩასატარებლად საქართველოს სახკომსაბჭოსთან დაარსდეს კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: 1. გერმანე მგალობლიშვილი (თავმჯდომარე), 2. ლ. ბერია, 3. მაქსიმ გორკი, 4. ფილიპე მახარაძე, 5. პ. აღნიაშვილი, 6. კ. ორაგველიძე, 7. მალაქია ტოროშელიძე, 8. ა. თათარიშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), 9. ვ. ბაქრაძე, 10. გ. არუთინოვი, 11. გ. სტურუა, 12. გ. ყურულაშვილი, 13. გ. გიორგობიანი, 14. ე. ბედია, 15. ა. დუდუჩავა (მდივანი), 16. ბ. ბიბინეიშვილი, 17. ს. თოდრია, 18. ლ. აღნიაშვილი, 19 აკადემიკოსი ნ. მარი, 20. პროფ. ივ. ჯავახიშვილი, 21. პროფ. კ. კეკელიძე, 22. პროფ. ი. აბულაძე, 23. პროფ. ა. შანიძე, 24. მ. ჯავახიშვილი, 25. სახალხო მწერალი გ. ტაბიძე, 26. სახალხო მოქანდაკე ი. ნიკოლაძე, 27. სახალხო არტისტი ა. ახმეტელი, 28. ჩარენცი, 29. რ. ახუნდოვი, 30. პ. იაშვილი, 31. ა. ეული, 32. კ. ჭიჭინაძე, 33. პ. ინგოროყვა, 34. კ. გამსახურდია, 35. ლ. გუდიაშვილი, 36. ა. თითბერიძე, 37. ა. შანშიაშვილი, 38. არაყიშვილი, 39. ს. ჩიქოვანი, 40. ვ. ჯიქია, 41. გერონტი ქიქოძე.

4. განათლების სახალხო კომისარიატმა დააწესოს რუსთაველის სახელობის მუდმივი ჯილდო, რომელიც ყოველწლიურად მიესჯება საუკეთესო მაღალ-მხატვრული პოეტურ ნაწარმოებთ (ორიგინალურს თუ თარგმნილს) ქართულ ენაზე და ამ მიზნით 1935 წლიდან ყოველწლიურად გაითვალისწინოს თავის ბიუჯეტში 20.000 მანეთი.

5. სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურისა და ენის ინსტიტუტმა მოამზადოს ,,ვეფხვის ტყაოსნის" აკადემიური გამოცემა და საამისო მუშაობა დაამთავროს 1936 წლის დამლევისათვის. სახელგამმა უზრუნველყოს მისი გამოცემა რუსთაველის იუბილესთვის.

6. სახელგამა 1935 წელს დაბეჭდოს ,,ვეფხის ტყაოსნის" გაიაფებული გამოცემა მასობრივი ტირაჟით.

7. მოწონებულ იქნას გამომცემლობა ,,აკადემიას" წინადადება ,,ვეფხვის ტყაოსნის" რუსული თარგმანის გამოცემის შესახებ. ამ საქმეში განათლების სახალხო კომისარიატმა ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს ,,აკადემიას".

8. განათლების სახალხო კომისარიატს დაევალოს 2 თვის ვადაში დაამუშაოს და ცენტრალურ კომიტეტს წარუდგინოს ლონისძიებანი ,,ვეფხვის ტყაოსნის" სხვა ენებზე თარგმნისა და გამოცემის შესახებ.

9. განათლების სახალხო კომისარიატმა და სახელგამმა გამოაცხადონ მხატვართა კონკურსი ,,ვეფხვის ტყაოსნის" აკადემიური გამოცემის მხატვრულ გაფორმებასა და ილუსტრაციებზე.

10. განათლების სახალხო კომისარიატმა გამოაცხადოს კომპოზიტორთა კონკურსი რუსთაველის სახელთან და მის პოემასთან დაკავშირებულ საუკეთესო მუსიკალურ ნაწარმოებზე (ოპერა, სიმფონია და სხვ.)

11. საქართველოს სახკინმრეწვმა გამოაცხადოს კონკურსი ,,ვეფხის ტყაოსნის" საუკეთესო სცენარზე და შეიტანოს იგი 1935 წლის თემატიკურ გეგმაში.

12. განათლების სახალხო კომისარიატმა გამოაცხადოს კონკურსი ,,ვეფხის ტყაოსნის" საუკეთესო დრამატიულ ნაწარმოებზე.

13. სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურისა და ენის ინსტიტუტს მიეკუთვნოს შოთა რუსთაველის სახელი.

14. სახელმწიფო უნივერსიტეტის სალიტერატურო ფაკულტეტმა დაარსოს შოთა რუსთაველის კათედრა.

15. სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურის და ენის ინსტიტუტში მოეწყოს: ა) შოთა რუსთაველის შემსწავლელი სექცია და ბ) რუსთაველის მუზეუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფირდოუსის საიუბილეო სხდომა მოსკოვში. სურათზე: სპარსეთის საქმეთა რწმუნებული მოსკოვში ბ. საიდი, ამხ. აბელ ენუქიძე და სხვ.



20 სექტემბერს დიდ თეატრში შესდგა სპარსეთის პოეტის ფირდოუსის დაბადებიდან 1000 წლის აღსანიშნავი საზეიმო სხდომა.

სხდომას ესწრებოდენ სპარსეთის მთავრობის წარმომადგენლები.

სურათზე: პრეზიდიუმში მარჯვნიდან მარცხნით სპარსელი მწერალი ბ. საიდ ნაფისი, დემიან ბედნი, „ვოქსი"-ს თავმჯდომარე ამხ. აროსევი; გარეშე საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. კრესტინსკი, ენუქიძე, სპარსეთის საქმეთა რწმუნებული საბჭოთა კავშირში ბ. საიდი, სპარსეთის მთავრობის წარმომადგენელი — დიბა. მარცხნიდან მეორე პროფ. ორბელი და სხვ.

ახალგაზრდ. საერთაშორისო დღე ტუშინში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანელი მწერლები: ალბერტი და მარია ტერეზა ლეონ.

მწერლები: ერნსტ ტოლერი და პაოლო იაშვილი კახელ გლეხთა შორის ალავერდის დღესასწაულზე.

უცხოეთის მწერლები კახეთში

28 სექტემბერს, კახეთში მოგზაურობიდან დაბრუნდა უცხოეთის მწერალთა ჯგუფი: პლივიეს (ჰერმანია) ალბერტის (ესპანეთი) და მარია ტერეზა ლეონის (ესპანეთი) შემადგენლობით.

თელავში ყოფნის შემდეგ მწერლები დაესწრენ ალავერდის ტრადიციულ დღესასწაულს, რაც ყოველწიურად ეწყობა ალავერდის მონასტერში. დღესასწაულზე უცხოელი მწერლები გაეცნენ ჩვენს ფოლკლორსა და ცეკვებს, რამაც მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. წინანდალის საბჭოთა მეურნეობაში მათ დაათვალიერეს მეურნეობის ზვრები.

სურათზე: უცხოეთის მწერლები კახელ კოლმეურნეთა შორის ალავერდობაზე.